რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 3 მაისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 38 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 38

მუშათა საბჭოსთან არსებულ პროპაგანდისტთა კოლეგიის საზოგადო კრებები ხდება ორშაბათობით საღამოს 7½ ს.

Со 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба" (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба".

Подписная цѣна на годъ 15 р., на 6 мѣс. 8 р., 3 м. 4 руб. 20 к., 1 мѣс. 1 р. 40 к.

მეუღლე კაცია, შვილები: ანტონ, გიორგი, გულნარა, ნინუცა და თამარი; რძლები: ეკატერინა და ნინო, სიძე ალექსანდრე კალანდაძე აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავებს და მეგობრებს, რომ 30 აპრილს ღამით მიხაილოვის საავადმყოფოში დიდი ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა:

ტერეზი გრიგოლის ასული ქლენტისა,

გამოსვენება მოხდება მიხაილის საავადმყოფოდან 4 მაისს, დილის 11 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე პანაშვიდი 2 და 3 მაისს საავადმყოფოში, საღამოს 7 ს.

ამხანაგებო! დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ მიხაილოვის საავადმყოფოში 30 აპრილს ღამით გარდაიცვალა დედა ჩემი

ტერეზია გრიგოლის ასული ქლენტისა

დაკრძალვა მოხდება 4 მაის წმინდა ნინოს სასაფლაოზე, საავადმყოფოდან გამოასვენებენ 11 საათზე.

სრულიად კავკასიის ოლქის შარა-გზათა მუშების და მოსამსახურეების კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი ანტონ ქლენტი.

გულდათუთქული ძმა იაკობ გერასიმეს ძე ნადირაძე ცოლშვილით, და მაკრინე გერასიმეს ასული გიორგაძისა ქმარშვილით და ნატალია ილარიონის ასული კანდელაკისა ქმარშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველი ორი დაუვიწყარი ძმისა და მესამე ძვირფასი ბიძისა

ლუარსაბ გერასიმეს ძე ნადირაძის,

რომლის გამოსვენება მოხდება ქაშუეთის ეკლესიიდგან კუკიის სასაფლაოზედ დღეს სამ მაისს დილით 10 საათზე.

შვილის შვილები: ევგენია, გოგონა, შალვა, ხუტუ, ელენე, გრიშა, ჩიტო და მუჩუტა კალანდაძენი; ჟულიეტა და მერი ებრალიძის ასული ტატო, გრიშა, მარუსა და კოწო ქლენტები დავსტირით ძვირფას დაუვიწყარ ბებუკუნას

ტერეზია გრიგორის ასულის ქლენტისას

დასაფლავება ხუთშაბათს 4 მაის 1917 წ. ქ. ტფილისში წმ. ნინოს სასაფლაოზე დილის 11 საათზე.

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისდუშივენის, —ტრიპითა. დიდი სოლინოიდი [illegible] და არსონვალის ტოკითა ფოლტაჟების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჰემების, სისხლ ნაკლებობის, უძილობის, ნევრალგიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი კ ი გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანნი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელისგვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისან ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარება.

რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარება შედარებით დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან დაბალ საფეხურზე დგას. კაპიტალის დაგროვება, სასოფლო მეურნეობაში ინტენსიურ წარმოების განვითარება ჯერ ოდნავათაც ვერ დაახლოებია დაწინაურებულ ქვეყნებს და მათ მაჩანჩალათ გამხდარა. სამაგიეროთ დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტური წარმოების წესმა მაღალ საფეხურს მიაღწია. იქ ზედმეტი ნაწარმოები თვით სახელმწიფოთა ფარგლებში ბაზარს ვერ პოულობდა და ამიტომაც გაბატონებული კლასები ახალი ადგილების შეძენას ცდილობდენ, რომ იქ ზედმეტი ნაწარმოები გაესაღებიათ, ხოლო იქიდან ინდუსტრიისთვის საჭირო ნედლი მასალა შემოეტანათ.

სწორედ ასეთ ნიადაგზე აღმოცენდა ევროპის სახელმწიფოთა იმპერიალისტური პოლიტიკა, რამაც გამოიწვია მილიტარიზმისა და მარინიზმი (სამხედრო ფლოტის) გაძლიერება. ამ ნიადაგზე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული არა ერთი და ორი ომი ამტყდარა. დაბოლოს მსოფლიო ომიც გაჩაღდა, და მთელი კაცობრიობა ცეცხლის ალში გახვიეს.

რუსეთი სხვა პირობებში იმყოფებოდა, მარა აქ განაპირა ქვეყნების შემოერთებამ ფართო ხასიათი მიიღო და ამ მხრივ მან თითქმის ყველა დაწინაურებულ სახელმწიფოებს წინ გაუსწრო.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში რუსეთმა ყველა ევროპის სახელმწიფოებზე მეტი ტერიტორია დაიკავა. მის ხელშია დედამიწის ზურგის მეექვსედი ნაწილი. [illegible] უზარმაზარი აზიის და ევროპის ყველა კუთხეებს უტევდა და ახალ ქვეყნებს ძალით იერთებდა. მაგრამ აღსანიშნავია ერთი მეტად საგულისხმიერო და დამახასიათებელი მოვლენა: რუსეთის ტერიტორიების გაფართოება რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარებით არ ყოფილა გამოწვეული. რუსეთის კაპიტალისტური წესი იმდენათ არ ყოფილა გაძლიერებული, რომ მას, როგორც პარვუსი ამბობდა, ასე დიდი ბაზრები დარჩენოდა. რუსეთის განუვითარებელი მრეწველობა თავისი ნაწარმოებით შინაურ ბაზრის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა და აქ უცხოეთის ნაწარმოები ფართო ნიადაგს პოულობდა. მიუხედავათ ამისა რუსეთში, იმპერიალისტურ დაპყრობით პოლიტიკას ფართო ასპარეზი გაეხსნა. აქ უცხო ქვეყნების შემოერთების დროის უმთავრესათ პოლიტიკური მოსაზრება თამაშობდა მთავარ როლს. ეს იყო ინტერესი დინასტიისა და მემამულეთა წრეების. თვითმპყრობელობის განმტკიცება და თავადაზნაურობის გაძლიერება—აი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის სათავე.

ეჭვს გარეშეა ახალი ტერიტორიების შემოერთებით ბურჟუაზიას ფართო ბაზარი ეხსნებოდა და უმთავრესათ სავაჭრო კაპიტალს გზა ეხსნებოდა, მაგრამ ასეთი ურთიერთობა სრულიადაც არ ყოფილა წარმოების განვითარებით გამოწვეული.

აბსოლიუტური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეოხებით რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარება ფერხდებოდა და მთელი ძველი მთავრობის რთული ბიუროკრატიული არმიის შენახვა და ხარჯების გასტუმრება მას მძიმე ტვირთად აწვებოდა. სახალხო ქონების დაგირავება, მიუხედავათ ბურჟუაზიული წრეების მიერ მუშათა უზომო ექსპლოატაციისა მაინც არ ხერხდებოდა. ეს გარემოება კი რუსეთის ეკონომიურ განვითარებას დაბალ საფეხურზე აჩერებდა. რუსეთის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, ძველი ბიუროკრატიულ—იმპერიალისტური პოლიტიკა ზედმეტი ბარგია. მთელი ეკონომიური და სოციალური პოლიტიკა უმთავრესათ საწარმოვო ძალთა განვითარებისაკენ იქნება მიპყრობილი და ეს შექმნის ისეთ ურთიერთობას, რომელიც რუსეთის ეკონომიურათ გაბატონებულ კლასს საშუალებას მისცემს ფართო შინაური ბაზრით ისარგებლოს.

ამიტომაც პანსლავისტურ პოლიტიკას, რასაც ლიბერალები ეღლაუჭებიან არ წარმოადგენს რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარების მიუცილებელ მოთხოვნილებას. დღეს რუსეთის ბურჟუაზიას განახლებულ პოლიტ. პირობებში საწარმოვო ძალთა აღორძინება სჭირია, რაც შეიძლება შინაური ბაზრის გაფართოებით.

ჯარი და რევოლიუცია.

დროებითი მთავრობა ჯარისკაცთა მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუდგა. ჯარი, რომელიც მეფის ტახტის მთავარ ბურჯს წარმოადგენდა, [illegible] აუტანელ პირობებში იმყოფებოდა. სახლში ულუკმა-პუროთ დატოვებული ცოლშვილი, ომის ველზე კი შიმშილ წყურვილი—აი ხვედრი რუსეთის მრავალ ტანჯულ ჯარისკაცისა.

მიუხედავათ სასტიკი დისციპლინისა არა ერთხელ აუმაღლებიათ თავისი ხმა ჯარისკაცებს აუტანელი მდგომარეობის წინააღმდეგ, უვარგისი საჭმლის ნიადაგზე უკმაყოფილებამ, განსაკუთრებით მეფობის უკანასკნელ დღეებში მეტათ ფართო ხასიათი მიიღო. მეფის მთავრობა ყოველგვარ გამოსვლას სასტიკათ დევნიდა და „ბუნტოვშჩიკ"—ჯარისკაცებს კატორღითა და სახრჩობელით უმასპინძლდებოდა. მარა დაემხო მეფის ტახტი, ჯარის დამონებასაც ნიადაგი გამოეცალა. ჯარისკაცები სრულ უფლებიანი მოქალაქე შეიქნენ და აი მათი ნივთიერი გაუმჯობესების საკითხიც დაისვა.

დღემდის უბრალო ჯარისკაცი თვიურათ 75 კაპ. ჯამაგირს იღებდა. რა არის ეს თუ არა მწარე დაცინვა? საუკეთესო ვაჟკაცთ სახლკარს აშორებენ და თან მშობლებს თავის შვილთა ჯარში შენახვასაც აკისრებენ! უთვალავი თანხა იხარჯებოდა პოლიციელთა, ჟანდარმებისა და ჯაშუშთა შესანახავათ, მეფისა და მისი ამალის სასახლეთა ხარჯების გასასტუმრებლათ, ხოლო ისინი, ვინც სამშობლოს აუტანელ პირობებში იცავდენ, შიმშილისა და ათასგვარი ავათმყოფობის მსხვერპლი ხდებოდენ.

თავისუფალი რუსეთი რასაკვირველია ასეთ მდგომარეობას ვერ შეურიგდება. ჯარისკაცი სრულ უფლებიანი მოქალაქეა. ის ნივთიერადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ამ მიზნით პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ განსაკუთრებული კომისია აირჩია და მას კითხვის დაჩქარებით განხილვა მიანდო. ამავე საგანს შემდეგ ყურადღება ძალაუნებურათ სამხედრო სამინისტრომაც მიაპყრო.

29 აპრილს უკვე გამოიცა დროებითი მთავრობის დეკრეტი, რომლის თანახმათ უბრალო ჯარისკაცს ფრონტზე მიეცემა წლიურათ არა ნაკლებ 90 მანეთისა, ე. ი. თვიურათ შვიდ მანეთ ნახევარი, ხოლო „ზურგს" უკან 60 მანეთი წლიურათ, ე. ი. 5 მანეთი თვიურათ. ჯარისკაცთა უდიდესი ჯამაგირი წლიურათ 758 მანეთს აღწევს. ეს მასწავლებელთა ჯამაგირზე მეტია. ჯარი ყოველ მხრივ განთავისუფლდა.

მეფობამ საცსებით დაიმონა ჯარი. რევოლიუციამ მას სრული თავისუფლება მიანიჭა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, ამიერიდან ჯარი რევოლიუციის ერთგული დარაჯი უნდა შეიქნეს.

პრესა.

ყოველ დღე გაზეთებს ახალ-ახალი ცნობები მოაქვს რევოლიუციურ იდეის გამარჯვების შესახებ ომისა და ზავის საკითხში. ფრონტზე დაძმობილების ფაქტები, რომელთა წინააღმდეგ ისე ძლიერ ამხედრდა დროებითი მთავრობა და რომელსაც სტრატეგიული მოსაზრებით ბევრნი უარყოფენ, ყოველ შემთხვევაში მაჩვენებელია რევოლიუციის გაბატონების ყველგან, სადაც კი მისი ხმა მისწვდება.

გაზ. „ნოვაია ჟიზნ"-ი გვაუწყებს:

„რუსეთის რევოლიუციის შემდეგ გერმანელ სალდათებში მეტის-მეტათ გახშირდა დეზერტირობა სწორედ რუსეთის ფრონტზე ციხეები ჯარისკაცებით აივსო. შემოტევის შეჩერება ჰინდენბურგის მხრით აიხსნება არა სამხედრო მოსაზრებით, არამედ იმით, რომ სალდათებს აშკარათ არ სურთ რევოლიუციურ რუსეთის წინააღმდეგ გამოლაშქრება. ეს ის პოლიტიკური დახმარებაა, რომელსაც გერმანიის დემოკრატია უკვე უწევს რუსეთის რევოლიუციას".

⁂

მოსკოველ გაზ. „სოციალ-დემოკრატში" მოყვანილია ცნობა, რომლიდანაც მკითხველი ადვილათ დაინახავს, თუ ვისთვის, ან რისთვის არის საჭირო საშინელი სისხლის ღვრის გაგრძელება:

„ლონდონი: 19 აპრ. ჩიკაგოდან იტყობინებიან: პურის ფასი დაეცა, პურის ბირჟა დაიკეტა დემორალიზაციის გამო, რაიც გამოწვეულია იმ ცნობებით, რომ შვეიცარიის ელჩმა გადასცა ვილსონს—გერმანიამ ბევრგან გაფიცვები დაიწყო და ბეტმან-ჰოლვეგი ზავის ჩამოგდების წინადადებას იძლევაო"...

ზავის ჩამოგდება მომასწავებელია მაღალ ფასების დაცემის. და აბა რომელი მრეწველი იქნება, რომ ხალხის სისხლის შერჩენას თავის ჯიბის სისქის შერჩენა ამჯობინოს? ამისათვის მღერიან გაბატონებული კლასები ომის დიად მიზნებზე და მის სახელოვნათ დაბოლოების საჭიროებაზე.

⁂

მოსკოვის მეუმრავლესეთა ორგანოში მოყვანილია რეზოლიუცია, თავისუფლების სესხის წინააღმდეგ, რომელიც მიღებულ იქნა სახალხო სახლში მიტინგის მიერ: რეზოლიუცია, აღნიშნავს რა მთავრობის ბურჟუაზიულ შემადგენლობას, მისგან დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას, და სხვა ცოდვებს, ბოლოს ასეთ დასკვნას აკეთებს:

„სიყალბეა იმის თქმა, თითქო მთავრობისათვის სესხზე უარის თქმით ჩვენ შიმშილის მსხვერპლათ ვხდიდეთ სალდათს, ვინაიდან ბურჟუაზია, რომელიც დაინტერესებულია ომის წარმოებაში „სრულ გამარჯვებამდე", აძლევს მთავრობას ფულს სესხათ; ამიტომ კრება უარს ამბობს ეგრეთ წოდებულ „თავისუფალ სესხისთვის" მხარის დაჭერაზე".

ორი კურდღლის დაჭერაც ამას ქვია! მარა ეს ხომ პოლიტიკურ გამჭრიახობის დაკარგვაა. სესხს ყოველთვის ბურჟუაზია აძლევს და მუშათა კლასი სწორედ იმაზე მსჯელობს, ხელი შევუწყოთ, თუ შევუშალოთ მას ამაში!

მოსკოველთა რეზოლიუცია კი ამბობს ხელის შეშლას იმიტომ ვადგენთ, რომ ხელს მაინც ვერ შევუშლითო.

⁂

გამოვიდა პირველი ნომერი ახალი სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ალიონი"-ს. ეს გაზეთი სოციალდემოკრატთა იმ ჯგუფის ორგანოა, რომელნიც ტერიტორიალურ ავტონომიის მოთხოვნილებას აღიარებენ. ესაა ერთადერთი საკითხი, რომელშიც ისინი ჩვენგან ნსხვავდებიან, დანარჩენში კი საერთოდ ისინი ამავე აზრს და ტაქტიკურ შეხედულებებს იცავენ, რომელსაც ჩვენ გაზეთი აღიარებს.

ჩვენი შეხედულებით, ერთ რომელიმე საკითხში განსხვავების გამო ცალკე გაზეთის გამოცემა მიზნის შესაფერ მოქმედებათ ვერ ჩაითვლება.

ცალკე ჯგუფის შექმნას კი უმეტეს შემთხვევაში თან სდევს ტენდენცია გამოყოფის და განცალკევების, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, რომელიც პარტიაშია გაბატონებული. ალბად ამაზე ეყრდნობოდა ბ. ი. იმედაშვილი, როცა თავის საეჭვო ღირსების ანკესს უგდებდა ჩვენს ამხანაგებს და თავის უკაცრავად მოხსენებაა „პარტიაში" ეპატიჟებოდა.

მით უმეტეს სასიამოვნოა, რომ გაზეთი პირველსავე ნომერში ასეთ გამოსვლებს შესაფერი პასუხით ეგებება.

„დიახ ჩვენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დავრჩებით—სწერს „ალიონი" და იქიდან აღვიმაღლებთ ხმას, ჩვენ პარტიულ განვითარების გზაზე ვდგევართ, თვით პარტიაშივე დავიცავთ ჩვენს საქმეს, და თუ იოსებ იმედაშვილის „სოციალ-დემოკრატიულ პარტიას" ვერ შევუერთდით, ნურას უკაცრავათ. ვერც შევუერთდებით და არც შევუერთდებით".

რენეგატები ტყვილა აპოტინებენ ხელებს. პარტიას არ ეშინიან აზრთა სხვადასხვაობის. იგი ყველას საშუალებას აძლევს თავის აზრის გამოთქმის და დაცვისა. იგი იცავს მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციის და მოქმედების მთლიანობას.

მარა სწორეთ ამიტომ არ ითმენს რენეგატობას.

⁂

ფედერალისტთა ქუთათური ორგანო „ჩვენი მეგობარი" მეტათ გულნატკენია. დახეთ უბედობას, მათ ეროვნულ სულისკვეთებას პირწმინდა დემოკრატობათ არ სცნობენ და წინააღმდეგობის გაწევასაც კი უბედავენ. და მერე ვინ? მუშათა დეპუტატების საბჭოები, ეს ნამდვილი და ყველასაგან ცნობილი დემოკრატები, დაუძინებელი მტრები ყოველივე დაჩაგვრის, კლასობრივის, სარწმუნოებრივის, თუ ეროვნულის. ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებზე ხომ დიდი ხანია იმედი დაწმენდილი აქვთ, მარა დახე მათ ბედს, რუსეთშიაც რომ ასეთი ამბები ხდება თურმე. აი მაგალითათ, გვეპიდენ ყურებს უკრაინის ავტონომისტების პირწმინდა დემოკრატობაზე. და „მახანჯმა სოციალისტებმა" კი დავთარი აურიეს:

ბაქოში, 21 აპრილს გარდაიცვალა

ზაქარია სიმონის ძე თურქია

რასაც მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას განსვენებულის მეუღლე, დები, ბიძაშვილები და სიძე აკაკი ჩხენკელი.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

„უკმაყოფილება უკრაინის ეროვნული საკითხის შესახებ, სწერს გაზეთი, კიევის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოდან გამოვიდა. საქმე იქამდი მივიდა რომ ხიშტებზე დაიწყეს ლაპარაკი“.

ასეთი ამბებია უკრაინელთა დედა ქალაქში, იქაური დემოკრატები თფილისელებს ბაძავენ, უკრაინულ სპეციალურ პოლკების გამოყოფას ეწინაამდეგებიან. ასეთი მოვლენა რევოლიუციისთვის მავნებლათ მიაჩნიათ. ესე იგი ისე მსჯელობენ, როგორც ყველა ნამდვილი რევოლიუციონერები.

გაზეთს ასეთი აზრი მუშათა საბჭოსი რასაკვირველია არ მოსწონს და გაკვირვებულია, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ უარი სთქვა უკრაინულ პოლკის შედგენაზე—მაშინ როდესაც თურმე დროებითი მთავრობის მოსამსახურე ბრუსილოვი ამის ნებას იძლევა.

მარა ბრუსილოვი ძველ მთავრობასაც ემსახურებოდა და ნუ თუ გაზეთს გონია, რომ რევოლიუციონური მუშებიც მას უნდა აყოლოდენ?

გაზეთს დიდი იმედი აქვს, რომ მომალში მათ გულის ნადებს მაინც დემოკრატია განუხორციელებს, რომელიც ბოლოს და ბოლოს იცნობს მათ გულწრფელ დემოკრატობას.

ძალიან გულით გვსურს, მარა მაინც ვერ დავაიმედებთ ჩვენ მეგობრის მესვეურთ. დემოკრატია იცავს დაჩაგრულ ერებს, მარა ნაციონალისტების ფეხის ხმას იგი არასოდეს არ აყვება.

ფედერალისტების იმედი ფუჭი ოცნებაა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 29 აპრილი. დროებითი მთავრობის დადგენილების თანახმათ ჯარისკაცთ ახალი ჯამაგირები ენიშნება. ჯამაგირები განიყოფებიან ორ კატეგორიათ: ჩვეულებრივი და საომარი. ჩვეულებრივი დროის წლიური ჯამაგირი განისაზღვრება 60—540 მანეთამდე; არმიისთვის ფრონტზე 90—758 მანეთამდე. გვარდიაში მომატებული ჯამაგირი ისპობა. ჯამაგირს მიიღებენ: ნოვობრანცები დღიდან გამოცხადებისა თავშესაყრელ პუნქტებზე, სათადარიგო ჯარისკაცები, მზვერავი რაზმები, მოხალისენი და სხვები. კანონი შედის ძალაში პირველ მაისიდან.

პეტროგრადი. 29 აპრილი. დროებითი მთავრობის დადგენილება. გამოქვეყნდა წესები იმ ექიმების სამხედრო სამსახურში მოწვევისა, რომელნიც დღემდე მოწვეული არ იყვნენ და რომელთაც არ შესრულებია 50 წელი 1917 წლის პირველი იანვრიმდე.

სარატოვი. 27 აპრილი. სამხედრო კომიტეტმა ქალაქის განაპირას დაატყვევა მონარხიული ორგანიზაცია, რომელმაც პროკლამაცია გამოუშვა შემდეგი ლოზუნგით: „მოგვეცით მეფე და პური“ და რომელიც 14 მაისს გამოსვლას აპირებდა. ორგანიზაციის სათავეში იდგა მღვდელი.

მინსკი. 28 აპრილი. ლიტველების სამხედრო ფრონტის კრებამ დაადგინა, რომ დამფუძნებელმა კრებამ აღიაროს თავისუფალი ლიტვა; ლიტვა უნდა იყოს დემოკრატიული რესპუბლიკა, შეერთებული სხვა ხალხებთან ფედერატიულ საფუძველზე.

ვიატკა. 28 აპრილი. გლეხების სხდომამ დაადგინა ჩამოხსნას დეპუტატის ღირსება გოროდილოვს, რომელმაც აღიარა „როზგების“ საჭიროება და გამორიცხოს თავის წრიდან.

პეტროგრადი. 28 აპრილი. დროებითი მთავრობას წარუდგენ კავკასიის ფრონტის და ლუცკის არმიის დელეგატები და განუცხადეს მას თავისი ნდობა და გადაწყვეტილება იომონ მანამდე, სანამ მოწინააღმდეგეები არ იტყვიან უარს დაპყრობითი მისწრაფებებზე. დელეგატებს უპასუხეს: ლვოვმა, ნეკრასოვმა და კერენსკიმ.

პეტროგრადი. 29 აპრილი. დროებითმა მთავრობამ პრინციპიალურათ დაადგინა გამოსცეს კანონი ყოველი ხელშეკრულების შეჩერების შესახებ, რომელიც ეხება: მიწის ყიდვა, გაყიდვა, იჯარით გაცემას და სხ. რადგან მოსალოდნელია დამფუძნებელი კრების მიერ ჩამორთმევა საუფლისწულო, მონასტრებისა, მსხვილ კერძო მამულებისა. ამ კანონის გამოქვეყნება მოხდება მახლობელ დროში.

ხიმფეროპოლი. 28 აპრილი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ პეტროგრადში მომხდარ ამბების გამო დაადგინა, დაგმობილ იქმნას ცალკე გამოსვლები, რადგან ეს საფრთხეს უმზადებს თავისუფლებას და რევოლიუციას. გამოსვლები უნდა მოხდეს განკარგულებით.

ჰელსინგფორსი. 27 აპრილი. გაფიცვის გამო რაიონში ყოველგვარი მოძრაობა შეწყვეტილია. რკინის გზის სადგური და ელექტრონი არ მოქმედებს. ზოგიერთ შენობებს ჯარები იცავენ.

ჰელსინგფორსი. 27 აპრილი. ფინლიანდიის სენატმა კანონპროექტი გამოიმუშავა, რომლის ძალით ებრაელები გათანასწორებულნი არიან ფინლიანდიაში მცხოვრებ რუს მოქალაქეებთან.

ფსკოვი. 27 აპრილი. ფრონტის კრებამ რუსების და გერმანელების დამეგობრება ფრონტზე არა სასურველათ აღიარა, რადგანაც ასეთი დამეგობრება ხდება ხშირად გერმანელ შტაბის წევრებთანო.

პეტროგრადი. 28 აპრილი. მუშათა და სალდათთა დეპ. საბჭოს აღმასრულებელმა ბიურომ განიხილა პროექტი წითელი გვარდიის მოწყობის შესახებ და დაადგინა ასეთი ორგანიზაცია ჯერ-ჯერობით ნაადრევიაო.

კიევი. მალოროსებ-ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა დროებითი მთავრობას, მალოროსიაში ზოგიერთ სკოლების ძალდატანებით უკრაინზაციის გამო.

ციმერვალდელების მოწოდება კონფერენციაზე.

სტოკჰოლმი. 27 აპრილი. ბერნის სოციალისტურმა კომისიამ დაუგზავნა მოწოდება თანამოაზრე პარტიებს და ჯგუფებს 18 მაისისთვის დანიშნულ მე-3 ციმერვ. კონფ. დასასწრებლათ. ციმერვალდის კონფერენციაზე მოწვევაში აღნიშნულია, რომ კრება შეეხება ზავის კითხვას, აგრეთვე გამოიმუშავებს დამოკიდებულებას ჰოლანდიის მიერ დანიშნულ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციასთან. მოწვევა გაეგზავნა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს, ცენტრალურ და ორგანიზაციულ კომიტეტს რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა, სოც.-რევ. ინტერნაციონალურ მიმართულების ცენტრალურ კომიტეტს, ბუნდის ცენტრალურ კომიტეტს, გერმანიის დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატიულ პარტიას, საფრანგეთის, ბოლგარიის, რუმინიის, შვეციის, ნორვეგიის და იტალიის სოც.-დემ. პარტიებს. ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიებს, დანიისა და ნორვეგიის და სხ. მოწოდება გაეგზავნა ყველა იმ პარტიებს და ორგანიზაციებს, რომელნიც მოითხოვენ დაუყონებლივ ომის შეჩერებას უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის პირობების შესაკრავათ.

ვორონეჟი. 30 აპრ. ნიჟნე დევიცკიდან იტყობინებიან: კომიტეტების წარმომადგენელთა სიეზდზე გამოირკვა, რომ გლეხებს ჰქონიათ სხვადასხვა ხარისხის პურის ფქვილი ორასი ათასი ფუთი, დაუფქვავი ხორბალი ორი მილიონი.

სევასტოპოლი. 30 აპრ. „ახრანკის“ საქმეების გადასინჯვის დროს აღმოაჩინეს 250 პროვაკატორის სია. ფლოტი, ჯარი და მუშათა წრე თურმე დაქსელილი იყო პროვაკატორების ბადით.

სტოკჰოლმი. 30 აპრ. ვენის „არბეიტერ-ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა სტოკჰოლმის კონფერენციაზე ავსტრო უნგრეთიდან გაგზავნილ დელეგატების სრული სია: ავსტრიის ნემეცი სოციალდემოკრატები გზავნიან ადლერს, ელენბერგერს და რენნერს, პროფესიონალური კავშირისა კომისია—გიუბერს, პოლონეთის სოციალისტური პარტია—დაშინსკის და დისმანტს, ჩეხების სოციალდემოკრატია—გაბერმანს, იტალიის პარტია—პიტონნის, რუმინიის—გრიგოროვიჩს, სამხრეთ სლავიანური—დოქტორ ტუმას, ვენგრიის—ბაკანის, ბოხინგერს, კუნფს და ველტნერს, ბოსნიის—კარკიოს და კლუმაცს.

ნიჟნი ნოვგოროდი. 20 აპრ. ანდრონოვის მამულების გამგე იძულებული გახდა დაეთმო გლეხებისთვის სათესი მიწების ნაწილი.

ჟიტომირი. 30 აპრ. გლეხებმა გაანადგურეს ნემეცების კოლონიები, სპობენ ტყეს.

სტოკჰოლმი. 1 მაისი. კვირას გაიხსნა მემარცხენე სოციალისტების კონგრესი, რომელსაც მიზნათ აქვს შვეციაში ახალი სოციალდემოკრატიული პარტიის დაარსება. დაესწრო 300 სოციალდემოკრატიულ ორგანიზაცია, რომელთაც 300,000 წევრი ჰყავს. გადაწყდა ერთხმათ დაარსდეს ახალი პარტია, სახელწოდება ჯერ არ მიუღიათ.

პლეხანოვის მიმდევრების მიტინგი.

პეტროგრადი. 1 მაისი. ქალთა უმაღლეს კურსების შენობაში პლეხანოვის ჯგუფმა მიტინგი გამართა. მიტინგის თავჯდომარე ვასილიევმა დამსწრეთ სიტყვით მიმართა, რომელშიაც მან აღნიშნა, რომ „ერთობის“ ჯგუფის მიზანია სოციალდემოკრატიული ფრაქციების გაერთიანება. მეორე დუმის დეპ. ალექსინსკიმ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მან ზავის ჩამოგდება შეუძლებლად აღიარა. სანამ გერმანიაში რევოლიუცია არ იფეთქებს, მანამდე ზავზე ლაპარაკი ნაადრევიაო. თავისუფლების გამაგრება გარეშე მტრის მოგერიებაზეა დამოკიდებული. რუსეთის ხალხმა მოკავშირეები გერმანიის ძალმომრეობიდან უნდა დაიფაროს და სანამ მისი მილიტარიზმი არ შეიმუსრება, მანამდის შერიგება შეუძლებელიაო. შემდეგ ილაპარაკა ცნობილმა ლეო დეიჩმა. მან სთქვა: რუსეთის მომავალი ჩვენს ხელშია, ერთად-ერთი ხსნა ომის გაგძელებაშია. თავდაცვა შესაძლებელია კოალიციონურ სამინისტროს შედგენის შეხებით და ასეთი მთავრობის სრული მხრის დაჭერით. დასასრულ ილაპარაკა ფრონტიდან მოსულმა აფიცერმა კორტიკოვმა, რომელმაც სასტიკად დაგმო ფრონტზე ჩვენი და მტრის ჯარისკაცთა დაძმობილება.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიმართვა.

პეტროგრადი. 1 მაისი. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ჯარებს და სოციალისტებს შემდეგი მოწოდებით მიმართა: რუსეთის რევოლიუციის დაცვა ჯარის კაცებს ავალებს, რომ მათ მტერი მოიგერიონ, ფრონტზე დაძმობილებას დაეთხოვონ და თუ საჭირო იქნება მოწინააღმდეგეზე შესაფერი იერიშები მიიტანონ. იარაღის დაყრა და სეპარატიული ზავის ჩამოგდება საერთაშორისო მუშათა კლასის და მასთან ერთად რუსეთის რევოლიუციის დამარცხება იქნება.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 1 მაისი. დასავლეთის **ახპარეზზე და რუმინიის ფრონტზე** მხოლოდ მოწინავე რაზმები იბრძვიან.

კავკასიის ფრონტზე, ერძიჯანის სამხრეთით, კელელ-კამიის მთის კალთებთან მტრის ჯარმა ჩვენს როტას უკან დაახევია. ერძიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბელუზორას მახლობლათ ოსმალთა ჯარის იერიშები მოვიგერიეთ.

მესოპოტამიაში, მდ. დიალის ნაპირებთან მტრის დიდძალმა ჯარებმა იერიშები მოიტანეს და ჩვენ იძულებულნი გავხდით უკან დაგვეხია.

ჰაეროპლანების მოქმედება. კოველის მიმართულებით რუდკა-სიტოვიჩის რაიონში ჩვენმა არტილერიამ გერმანელების ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

პარიზი. 30 აპრ. მთელ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა. ზოგიერთა ადგილებზე ჩვენმა არტილერიამ მტრის სანგრებს ყუმბარები დაუშინა.

ჰავრი. 30 აპრ. დიკსმიუდეს ფრონტზე საარტილერიო სროლაა. გერმანელების ბატარეები იშვიათად გვიპასუხებდენ.

პარიზი. 30 აპრ. სომის რაიონში ორივე მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ზარბაზნის ყუმბარებს უშენდენ. რეიმსის ჩრდილოეთით მტრის გააფთრებული იერიშები მოვიგერიეთ და იგი იძულებული გახდა უთავბოლოთ დაეხია. ვერდენის რაინში მტრის სანგრებს მოხერხებ ლათ თავს დავესხით და იქიდან რამდენიმე ჯარის კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. დანარჩენ ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

ლონდონი. 30 აპრ. საფრანგეთის ფრონტზე. სენ-კანტენისა და ლეგარეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მოწინავე რაზმები იბრძვიან. სკარპის სამხრეთით, ბელკურას მახლობლათ ჩვენმა ჯარმა ოდნავ წინ წაიწია; აქ 50 ჯარის კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ.

პარიზი. 29 აპრილი. სენ-კანტენას სამხრეთით და შამპანში მდ. ენის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ სროლა განაცხოველა და ავოკურის ტყესთან მდებარე გერმანელების სანგრები დააზიანა. ბერი-ო-ბაკას მახლობლათ ჩვენმა მზვერავებმა მტრის ჯარისკაცები ტყვეთ წამოიყვანა. 28 აპრილს გერმანელების 7 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

პარიზი. 1 მაისი. მთელ ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა. ვერსალერიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით, კრანაუს დასავლეთით—სახელდობრ „108“ მაღლობთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სასამართლო პალატის რევიზია.

როგორც გაზეთები იუწყებიან პეტროგრადიდან თფილისისაკენ გამოემგზავრა სენატორი, რომელმაც თფილისის სამოსამართლო პალატას რევიზია უნდა გაუკეთოს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილება.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა ახალ ციმერვალდის კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღონ და იქ დასასწრებლათ იგზავნება დეპ. სკობელევი.

ვანდერველდე სტოკჰოლმის კონფერენციაზე არ ესწრება.

ლონდონიდან მოსულ დეპეშების ცნობით საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს თავმჯდომარე ბელგიელი სოციალისტების ლიდერი ემილ ვანდერველდე კატეგორიულათ უარსჰყოფს იმ ხმებს, თითქოს იგი ბიუროს მდივან გიუსმანთან ერთად სტოკჰოლმში წასვლას აპირებდეს სოციალისტურ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ. ვანდერველდე საქვეყნოთ აცხადებს, რომ იგი არსებულ პირობებში, ბელგიის მუშათა კლასის მიერ მიცემულ მანდატის მეოხებით, ვერა სცნობს შესაძლებლათ სტოკჰოლმის კონფერენციაზე დაესწროს.

სტოკჰოლმის კონფერენციაზე ლიბკნეხტის განთავისუფლებას მოითხოვენ.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: სტოკჰოლმში სოციალისტური კონფერენციის მოწვევის ინიციატორთა შორის აზრი დაიბადა, რომ გერმანიის მთავრობას მოსთხოვონ კარლ ლიბკნეხტის დაუყონებლივ ციხიდან განთავისუფლება.

ბუნდის რეზოლიუცია.

„ბუნდის“ რეზოლიუცია ნაციონალ-კულტურული ავტონომიის შესახებ:

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ებრაელები არც ერთ რუსეთის ნაწილში არ წარმოადგენენ მცხოვრებთა უმრავლესობას, რომ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დაწესებულებაში ებრაული ენის თავისუფალი ხმარება არ დააკმაყოფილებს თავისუფალ ეროვნულ-კულტურულ განვითარების მსვლელობას, ბუნდის კონფერენცია, თანახმაა რა VI ბუნდის კრების გადაწყვეტილებისა, აყენებს თავის პოლიტიკურ დღის ლოზუნგათ კულტურულ-ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნას მთელი ებრაელი ხალხისთვის რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

დამფუძნებელმა კრებამ განსაკუთრებული კანონით უნდა უზრუნველჰყოს ყოველი ებრაელი—მოქალაქე, ვინც თავის თავს ებრაელის ერს მიაკუთვნებს, რომ მათ ჰქონდეთ უფლება შეადგინონ ადგილობრივი ხალხური უფლებრივი, ოლქობრივი და ცენტრალური დაწესებულებანი, სადაც მათ გადაწყვიტონ ყოველი კითხვა ებრაელთა ეროვნულ ცხოვრებიდან და, რომ ამ დაწესებულებას მიეცეთ განსაკუთრებული ნაწილი სახელმწიფოს ბიუჯეტიდან და მასთანვე თვითაც შეეძლოთ ჰქონდეთ უფლება შემოიღონ დამატებითი იძულებითი გადასახადი.

კონფერენცია კატეგორიულათ მოითხოვს, რომ ამ ეროვნულ-კულტურულ ავტონომიაში გაყვანილ იქმნას პრინციპი ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფისა და სკოლისა ეკლესიიდან, ამისდა გვარათ ყველა დაწესებულებებს და სკოლებს უნდა მიეცეს საერო ხასიათი. თავისი რელიგიურ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ყველას უფლება უნდა ჰქონდეს მოაწყოს თავისი რელიგიური სათემო, რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის კანონმდებლობის დაცვის ქვეშ.

კონფერენცია კატეგორიულათ წინააღმდეგია ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის ორგანოების კომპეტენციის გაფართოებისა. როდესაც ქვეყანაში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდება, როდესაც შემოღებულ იქნება ადგილობრივი დემოკრატიული ორგანოები და ოლქობრივი ავტონომიები, ყველა მოთხოვნილებანი, რომელნიც არ არიან სპეციფიურ-კულტურული, საუკეთესოთ დაკმაყოფილებულ იქნებიან საერთო ორგანოებით, კერძოთ ისინი მხედველობაში მიიღებენ განსაკუთრებულ მდგომარეობას და ენას ებრაელი ხალხისას, და ამიტომ ყოველი ეროვნული გამოყოფა ამ ნიადაგზე რეაქციონურია, რომელიც გაამწვავებს ეროვნულ ქიშპს და გაყოფს მუშათა კლასს.

ახალი ამბები

„ერთობის“ გუშინდელ ნომერში შეცდომით მოთავსებული გვქონდა ცნობა სურამის კომიტეტის ვითომდა უკანონო მოქმედების შესახებ, რის გამო რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს და აცხადებს, რომ შეცდომაში იქნა შეყვანილი კორესპონდენტისაგან და საჩქარო მუშაობის გამო ვერ შენიშნა. რედაქცია.

◆ **თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს განცხადება.** ოთხშაბათს, 3 მაისს, საღამოს 6 საათზე პირველი გიმნაზიის ზალაში (გოლოვინის პროსპექტი, სამხედრო სობოროსთან, შესასვლელი გიმნაზიის ქუჩიდან) დანიშნულია მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრთა არაჩვეულებრივი კრება. კრების წესრიგი: 1) ნ. ზ. ელიავას მოხსენება სასურსათო საქმის შესახებ; 2) ბურჟუაზიის გამოსვლა ქალაქის დუმაში საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წინააღმდეგ; 3) მოხსენება სიეზდის შესახებ და კავკასიის ორგანიზაციების ცენტრის შექმნა და სხვა კითხვები.

◆ 7 მაისს სასახლის ბაღში პოლიტიკურ საქმეებისთვის დასჯილთა დამხმარე კომისია გამართავს გრანდიოზულ სეირნობას.

◆ შედგა სამრეცხაოებში მომუშავეთა კრება, რომლის მიზანი იყო პროფესიონალური კავშირის დაარსება. კრებამ განიხილა და მცირე შესწორების შემდეგ მიიღო მუშათა დეპ. საქმესთან არსებულ მუშათა კომისიის მიერ შედგენილი პროექტი წესდებისა. დაესწრო 60 კაცი.

◆ ხვალ, 4 მაისს, საღამოს 9 საათზე სამასწავლებლო ინსტიტუტის შენობაში მოხდება მასწავლებელთა თათბირი მთელი მხრის მასწავლებელთა სიეზდის მოსაწვევათ.

◆ ამ დღეებში დეპუტატი აკაკი ჩხენკელი ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის მონდობილობით მიემგზავრება კახეთში იქაური საქმეების მოსაწესრიგებლათ.

◆ 1 მაისს ფოსტის მატარებელში დამავიწყდა ორი კალათა და ქვეშაგები ტილოში გახვეული. მპოვნელს ვთხოვ შემატყობინოს, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს. ჩემი მისამართი: ბელაგორი, გრიგორ დეკანოსიძე.

◆ „ერთობის“ რედაქცია სთხოვს, ვისაც აქვს 1905 წელს გამოცემული არალეგალური ჟურნალი „სოციალდემოკრატი“ და აგრეთვე ბროშიურა ნ. ჟ. „დემოკრატია და სოციალდემოკრატია“, „სოციალ-დემოკრატი და სოციალ.-რევოლიუციონერები“ გამოგვიგზავნოს. როგორც ჟურნალი, ისე წიგნაკები მოკლე დროში უკანვე დაუბრუნდება პატრონს თუ მოისურვებს.

◆ **საგარეჯო.** 7 მაისს დილის 12 საათზე თეატრის შენობაში დანიშნულია საგარეჯოს მომხმარებელი საზოგადოების წლიური კრება.

◆ **გუნიას იუბილეის გამო.** ხაშურის დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარე ჰუმბურიძე დეპეშით გვატყობინებს, რომ დასახელებული საზოგადოების გამგეობა ვალ. გუნიას იუბილეიში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან კარგათ ახსოვს მისი შავრაზმული მოღვაწეობა, რაც გამოიხატა ქართველი დემოკრატიისა და ბელადთა მიმართ ათასნაირ ცილის წამებაში.

◆ **რედაქციისაგან.** ამხანაგ მოსე ნინიძის გარდაცვალების გამო აუარებელი სამგლოვიარო წერილი კავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან მოგვდის. რედაქცია აცხადებს ამხანაგების თუ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ უადგილობის გამო ამ წერილებს გაზეთში ადგილს ვერ ვუთმობთ.

◆ **ს. ახალ-სოფელი.** აქედან ვაზიანის სადგურისაკენ ისაკ აკოფაშვილს ორი ქალი და ერთი ბავშვი მოყავდა ურმით. გზაში ხარები დაფეთდენ და ურემი გადაბრუნდა, ქალები დაშავდენ, თითონ აკოფაშვილი კი მოკვდა.

◆ **ნავთლუღის განმანაწილებელი პუნქტი.** ავათმყოფების მიღება აქ მეტ ნაწილათ ღამ-ღამობით ხდება. ამიტომ პუნქტი სამუშაოთ უნდა იყოს განათებული. სანიტარებს ნახევარი ვერსიდან უხდებათ ავათმყოფების წამოყვანა. გზის გაუნათლებლობის გამო სნეულების ბედი ხიფათში ვარდება. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს შესაფერი ყურადღება.

— მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივმა მუშათა აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა კარტის თამაში მოისპოს, ზოგიერთი ექიმები და ზოგი სხვა მოსამსახურეები, მუდამ ღამეს კარტის თამაშში ათენებენ.

◆ **მომხ. საზ. „აღორძინების“** გამგეობამ 28 აპრილს დაადგინა: მოიწვიონ საზოგადოების გამგეთ ამხ. გიორგი ერაძე უკვე ამ საქმეში გამოცდილი აგრეთვე მიიღეს პასუხისმგებელ ნოქრათ ველაბრის განყოფილებაში ირ. თხილაძე და სცნეს საჭიროთ შესწირონ 100 მანეთი კულტურულ-განმანათლებელ კომისიას ნაძალადევის რაიონის კომიტეტთან არსებულს.

◆ 20 აპრილს, ღამით გატეხეს ავლაბარში კახეთის მოედანზე ოქრო-ვერცხლეულის მაღაზია ივანე პავლესძე ხოჯაშვილისა და წაიღეს 30000 მან. ოქრო ვერცხლი, ძვირფასი თვლები და სხვა. დამნაშავე უკვე ნახა მილიციონერმა. იგი აღმოჩნდა ნიკოლოზ ხეტიაშვილი.

◆ **გაზეთის გაწერა.** აბრამ ხოსროაშვილმა გაზეთი გაუწერა 6 თვით სოფ. ახმეტას და 6 თვით ჯარის კაცებს.

პროვინციის ქრონიკა.

დ. ბორჯომი. 21 ამ თვეს ბორჯომში დაბრუნდა თფილ. მუშ. საბჭოს წარმომადგენელი ამხ. როხლინი, რომელსაც დავალება ქონდა ახალციხის მაზრაში თათარ სომხების შორის უთანხმოების მოწესრიგება, რაიც ამხ. როხლინს სასურველათ შეუსრულებია. ბორჯომში ის რამდენჯერმე დაესწრო მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტის კრებას, რომლებზედაც ირჩეოდა რამოდენიმე ღირსშესანიშნავი კითხვები: წაღვერის ტყის მცველის ბ. მ. მურმანოვზე გლეხების საჩივარი, ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ბ. ჯაფრიძის, ექიმ ჟუკოვის და ნამამასახლისარ გელაშვილის კონტრ რევოლიუციონურ გამოსვლები. მუშათა და სალდათთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით ნამამასახლისარ გელაშვილი დაპატიმრებულ იქმნას, ბ.ბ. ჯაფარიძე, მურმანოვი და ჟუკოვი კი გაძევებული ბორჯომის რაიონიდან.

ამ ჟამად ხდება ბორჯომის აღმასრულებელ კომიტეტის რეორგანიზაცია. კომიტეტში უნდა შევიდეს: 6 წარმომადგენელი მუშებისაგან, 6 სალდათებისაგან, 6 გლეხებისაგან და დაბა ბორჯომის მცხოვრებთაგან. დაბის არჩევნები 23 აპრილს მოხდა; კომიტეტში გავიდნენ მუშათა და ჯარის კაცთა სასურველი კანდიდატები, რაზედაც ადგილობრივ ფედერალისტებმა პროტესტი გამოუცხადეს. დანარჩენი არჩევნებიც ამ დღეებში უნდა მოხდეს.

ს. ბარი. (რაჭა). მოხდა მრავალ რიცხოვანი მიტინგი. ხალხი აღტაცებულია ძველი რეჟიმის დამხობით, განთავისუფლდა სოფელი ყვავ-ყორანითა ძიძგნისაგან. აირჩიეს ნდობით აღჭურვილი პირები.

ხონი. დაარსდა ნოქარ-შეგირდთა პროფესიონალურ კავშირები. კავშირმა შეიმუშავა ერთგვარი წესდება და წარუდგინა ადგ. აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლათ.

სოფ. ზომლეთი. (გურია). ამ დღეებში, მოხდა ამ სოფლის შეერთებული კრება. ერთხმათ დაადგინეს ააგონ იქ სამკითხველოს შენობა. დაადგინეს აგრეთვე დაივიწყონ ძველი კუთხური შინჩემობა და ხელი შეუწყონ განახლებულ ცხოვრებას. აქვე მოგროვდა ბიბლიოთეკისთვის 346 მანეთი. აირჩიეს ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისიის წევრები.

ქ. ოზურგეთი. ამ დღებში დაარსდა ოზურგეთის მეეტლეთა კავშირი, რომელმაც აირჩია „სტაროსტები“ და საგამომძიებლო კომისია შინაური უთანხმოების მოსაგვარებლათ; დაარსდა აგრეთვე მომრიგებელი კამერა ხაზეინ-დაქირავებულთა წარმომადგენლებისაგან. დაარსებისთანავე მომრიგებელ კამერაში შემუშავებული იქნა მიმოსვლის ახალი ნიხრი. ნიხრი დამტკიცებული იქნა ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ და უკვე ტარდება ცხოვრებაში.

— ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა ქალაქის თვითმართველობას დაუყონებლივ შეუდგეს ქალაქის მცხოვრებთა აღწერას, რომ მომავალ თვითმართველობის ახალი წესით არჩევნების დროს ხალხი მზათ იყოს.

— ამავე კომიტეტმა ნოქარ-შეგირდთა კავშირის განცხადების თანახმად განკარგულება მოახდინა, რათა სანამ ახალ სავალდებულო წესებს შეიმუშავებდეს ცხოვრებაში ტარდებოდეს ძველი დადგენილება, რომელთა ძალით სავაჭროები იღება დილის 7 საათზე და იკეტება 6-ზე, მუშავდება ახალი სავალდებულო წესები, რვა საათის სამუშაო დღის შემოსაღებათ.

— აქ შესდგა მოწაფე მარქსისტთა წრე, რომელიც მუშაობს ყ. ქარცივაძის ხელმძღვანელობით.

— ახლად დაარსებული ქალთა კერძო პროგიმნაზიის გამგეებმა ან. მგელაძემ და ქ. ორაგველიძემ 24 აპრილს გამართეს ამავე პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ მეტათ შინაარსიანი საღამო, დადგეს ცოცხალი სურათები, წარმოადგინეს ვოდევილები და მოსწავლე ქალებმა წაიკითხეს ლექსები. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

ბუქისციხე. (გურია). ახლათ გადრაცვლილს ლევან ოთარისძე შარაშიძის შვილებმა, თავის მამის ხსოვნის აღსანიშნავათ, ნაცვლათ ქელეხისა 100 მანეთი გადასცეს ადგილობრივ ს.-დ. ორგანიზაციას, რომელიც შემდეგ ნაირათ განაწილდა: 25 მ. რევოლიუციის გასაღრმავებლათ, 25 მ. ადგილობრივ სამკითხველოს, 25 მ. სკოლას და 25 მ. კულტურულ-განმანათლებლო შენობის ასაგებ ფონდს.

— აღდგომა დღეს, წირვის შემდეგ, ეკლესიის ეზოში მოხდა სასოფლო კრება გრიშა შარაშიძის თავმჯდომარეობით, რომელმაც გააცნო ხალხს რევოლიუციის ვითარება, რითაც ხალხი კმაყოფილი დარჩა. ამავე დღეს გადაწყდა დ. ჩოხატაურზე ჩამოშორება და ისევ ერკეთის საზოგადოებაზე მიწერა ამ სოფლის.

დაბა ლანჩხუთი. 16 აპრილს აქ შედგა საზოგადოების დიდი მიტინგი ადგილობრივი აღმ. კომიტეტის ინიციატივით. მიტინგის მომწყობთა მიზანი იყო გაერკვიათ ხალხისთვის, რომ დღევანდელ სასურსათო არევდარევის დროს აუცილებლივ საჭიროა, რაც შეიძლება მეტი მიწის დამუშავება მოსალოდნელი შიმშილობის ასაცდენათ. კითხვის გარკვევის შემდეგ მიიღეს შესაფერი რეზოლიუცია.

სოფ. შუხუთი. (ზუგდიდ. მაზ.). ამ დღეებში შურისძიების ნიადაგზე ვატაია და მიხეილ ნაჭყებიებმა ნაჯახით მოჰკლეს თავისი მეზობელი, პატიოსან კაცათ ცნობილი დიანოზ ლემონჯავა, რომლის გვამი ნახეს მხოლოდ მეოთხე დღეს. მოიყარა თავი აუარებელმა ხალხმა, იქონია მსჯელობა დამნაშავეთა აღმოსაჩენათ, აირჩია საგამომძიებლო კომისია, რომელმაც იქვე აღმოაჩინა დამნაშავენი. ხალხმა დაჟინებით მოითხოვა მათი საჯაროთ გასამართლება, მაგრამ მაინც საჭიროთ სცნეს შეკითხებოდნენ საგუბერნიო კომიტეტს. ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, საქმე გადაეცეს გამომძიებელს, რომელიც მაშინვე შეუდგა საქმეს.

სოფ. ონოღია. 16 აპრილს ამელ გაბუნიამ სასიკვდილოთ დასჭრა მალხაზ ჯიქია.

ს. შემოქმედი. (გურია). 16 აპრილს აქ მოხდა ქალთა წრის დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრო ასამდე ქალი. ქალთა კითხვაზე ლაპარაკის შემდეგ კრებამ საჭიროთ სცნო წრის დაარსება და კიდეც აირჩიეს გამგეობა, რომელშიც სამწუხაროდ ვერ მოხვდა სასურველი პირები, რაც ქალების მოუმზადებლობით აიხსნება. ეს ნაკლი მერე შეიგნეს ქალებმა და კიდეც სწუხან. საჭიროა ხელ ახალი არჩევნების მოხდენა.

საოლქო და თფილისის კომიტეტების სხდომა.

30 აპრილს შედგა ამიერ კავკასიის საოლქო და თფილისის კომიტეტების შეერთებული სხდომა, რომელზედაც მსჯელობა იქონიეს სხვადასხვა მიმდინარე კითხვებზე. როგორც ვიცით პეტროგრადში ექვს მაისს მოწვეულ იქნება სრულიათ რუსეთის მეუმცირესეთა სიეზდი, რომლის მომწყობმა კომისიამ დეპეშით მიმართა საოლქო კომიტეტს გაეგზავნა პეტროგრადში კონფერენციაზე დელეგატები. ვინაიდან ადგილობრივი ორგანიზაციები არ თანაუგრძნობენ ფრაქციულ პოლიტიკანობას—სულ ერთია მეუმრავლესეთა მხრივ იქნება ეს თუ მეუმცირესეთა,—სხდომაზე დაადგინეს ამიერ კავკასიიდან დელეგატი არ გაიგზავნოს. თან კრებამ გამოსთქვა ის აზრი, რომ ყოველგვარი ფრაქციული კრებები მდგომარეობას ამწვავებს, პარტიას საფრთხეს უქადის და არცაა სასურველი მათი მოწყობა. რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოწვეულ იქნას ორივე ფრაქციების წარმომადგენელთა კრება და საზოგადოთ ყოველივე ღონე უნდა იქნას მიღებული პარტიული მთლიანობის დასაცავათ.

დღიურ წესრიგის მიხედვით მსჯელობა უნდა ყოფილიყო ნაციონალურ საკითხზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ამ კითხვის გარჩევა გადაიდო შემდეგ სხდომისათვის, რომელიც მოხდება მომავალ კვირას.

ამ დღეებში სომხის ნაციონალისტები ერევანში ახდენენ ნაციონალისტურ სიეზდს, რომელზედაც დაისწრებიან რუსეთში მცხოვრები სომხები. კრებამ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს სიეზდში, რათა შესაფერი გავლენა იქონიოს ნაციონალიზმზე.

საოლქო კომიტეტს მრავალი მხრიდან თხოვდენ გამოეცათ რუსულ ენაზე პარტიული ორგანო, ამის შესახებ შესაფერი გადაწყვეტილება კიდეც იყო მიღებული, ამ კრებას კი მოახსენეს, რომ გაზეთის გამოცემას უკვე შეუდგენ და ამ დღეებში კიდეც გამოვა პირველი ნომერი; გაზეთის სახელი იქნება „Барьба" (ბძოლა).

კითხვა იყო დასმული ამიერ კავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა სიეზდის გამართვის შესახებ. კითხვა დადებითად გადაწყდა, ყოველ ორას წევრზე ერთი დელეგატი უნდა იქნეს.

ამ დღეებში იუსტიციის მინისტრ კერენსკისაგან თფილისში დეპეშა მოვიდა—გაანთავისუფლეთ ყველა ის დატუსაღებულნი, რომელთა წინააღმდეგ არ შეიძლება კონკრეტიული ბრალდების წამოყენებაო. ეს კითხვა გაურჩეველი დარჩა.

კრებაზე დადგენილ იქნა გაადიდონ ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან არსებულ ინტერნაციონალურ კომიტეტის წევრთა რიცხვი: შეიყვანონ კიდევ ერთი ქართველი და სამი რუსი.

კრებამ საჭიროთ სცნო დაარსდეს პარტიული ძალთა განმანაწილებელი ბიურო, რომლის წევრებათ აირჩიეს: ხომერიკი, აზატიანი, ტოროშელიძე, ნ. ჟორდანია, რამიშვილი და ერზიკიანი.

ამხანაგების საყურადღებოთ.

13 მარტს 1917 წ. თფილისის მუშათა საბჭოს მიერ არჩეული იქნა საგუბერნიო სასოფლო კომისია, რომელსაც დაევალა აღნიშნულ გუბერნიაში მოწყობა: გლეხთა საბჭოების, აღმასრულებელი კომიტეტების (სასოფლო, სარაიონო სამაზრო და საგუბერნიო) და პარალლურათ შემზადება ნიადაგის საგლეხო სიეზდის მოსაწვევათ. კომისიამ დაუყონებლივ დაგზავნა ამხანაგები მაზრებში შესაფერისი დირექტივებით. გლეხკაცობა განურჩევლად ეროვნებისა დიდის ნდობით და აღტაცებით შეეგებნენ მუშათა საბჭოს მანდატებით გაგზავნილ ამხანაგებს, რამაც ხელი შეუწყო საქმის წინსვლელობას. იმართებოდა მიტინგები, სადაც ამხანაგები უხსნიდნენ ხალხს მნიშვნელობას მომხდარი რევოლიუციისა, მისი მომამრავებელი ძალებისა: პროლეტარიატის, რევოლიუც. ჯარის, გლეხკაცობის და მოწინავე ბურჟუაზიის; ჩვენ საბოლოო პოლიტიკურ მიზანს დემოკრატიული რესპუბლიკის მიუცილებლობის. მიტინგებზე გაქონდათ მომენტის შესაფერისი რეზოლიუციები. დასასრულ ხდებოდა არჩევნები გლეხთა საბჭოს დეპუტატების და აღმასრულებელ კომიტეტების, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ჟამათ სოფლათ სწარმოებს მინდვრის მუშაობა და თანაც მუშა ხელის ნაკლებობაა, გლეხკაცობა განურჩევლათ სქესისა მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა არჩევნებში, რითაც უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ როგორც საბჭოებში აგრეთვე კომიტეტებში ირჩევდენ შესაფერის პირებს. ამ ნაირად გაჩაღდა სოფლად მუშაობა, დაირაზმა გლეხკაცობა მუშათა საბჭოს გარშემო, მოეწყო სასოფლო და სარაიონო საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები და მოკლე ხანში შესდგება სამაზრო და შემდეგ საგუბერნიო საბჭოები და კომიტეტები.

პარალელურათ ხდება, საბჭოების გარშემო, გლეხთა სიეზდები სადაც ირკვევა: რაოდენობა ადგილობრივი მიწა ადგილის, სახნავისა, საბალახოსა, ტყისა და სხვა, რომელიც იმყოფება გლეხთა და მემამულეთა ხელში; გლეხთა ნივთიერი მდგომარეობა; საზოგადოთ ის აზრი, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საბოლოო დამფუძნებელ კრებაზე საკითხი მიწა ადგილის შესახებ და სხვა. მანამდის კი საბჭოები ირჩევენ მომრიგებელ კამერებს მემამულეებთან ერთათ მიწის საკითხის (დალა, საბალახე, ტყე და სხვ.) მოსაწესრიგებლათ.

ამრიგათ მზადდება ნიადაგი საგუბერნიო საგლეხო სიეზდის მისაწვევათ, რომელიც ვფიქრობთ 2—3 კვირის განმავლობაში კიდევაც მოხდება. უეჭველია ასევე უნდა იყოს დაყენებული საკითხი დანარჩენ გუბერნიებშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხთა სიეზდის მოწვევას არ ექნება მნიშვნელობა.

მთელი ეს მუშაობა სწარმოებს საგუბერნიო კომისიის გარშემო და ამიტომაც გაუგებარია განცხადება, რომელიც იყო მოთავსებული სასოფლო გაზეთში, და სხვა ადგილობრივ გაზეთებში შესახებ იმისა, რომ კვირას საღამოს 8 საათზე დანიშნულია კრება საორგანიზაციო ბიუროსი ამიერ კავკასიის საგლეხო კავშირის რომელიც—იწვევს გლეხთა სიეზდს 25 მაის. გაუგებარია მით უმეტეს, რომ ამ ბიუროსთან საგუბერნიო სასოფლო კომისიას არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვს, მუშაობა კი დანარჩენ გუბერნიებში გარდა ქუთაისის და ბათომის ოლქისა არსად არ სწარმოებს.

თბილისის მუშათა საბჭოს საგუბერნიო სასოფლო კომისია.

თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრთა მორიგი საზოგადო კრება.

29 აპრილს სახალხო სახლში შესდგა აღნიშნულ საბჭოს წევრთა საზოგადო კრება.

კრებას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. დღის წესრიგში შეტანილ კითხვათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა იყო პეტროგრადის ამბები და კოალიციური სამინისტრო. ამ კითხვის შესახებ ნოე ჟორდანია ვრცელ მოხსენებას აკეთებს, რომელიც გუშინდელ ჩვენ გაზეთში იყო დაბეჭდილი.

მოხსენების შესახებ გაიმართა კამათი. ვ. ჯუღელი არ ეთანხმება ნოე ჟორდანიას აზრს რუსეთის ბურჟუაზიის მიერ ანექსიაზე უარყოფის შესახებ. ისტორიულის ფაქტებითო,—ამბობს იგი,—ჩვენ ვხედავთ, რომ როცა ბურჟუაზია საკმარისად განვითარებული არ არის შიგნითა ბაზარზე, ის მაინც ცდილობს გარეშე ბაზარზე ფეხი მოიკიდოს და ამ მიზნით დაპყრობითი პოლიტიკას აწარმოებს. იმის დამტკიცება, რომ მილიუკოვის ფრაზა არ არის გამომხატველი მთელი სამინისტროს აზრისა, შეუძლებელია, დღევანდელი დროებითი მთავრობა მოქმედებს მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოების შიშის ქვეშ, თორემ მცირეოდენი თავისუფლება რომ მისცა მას ის უფრო გარკვევით იტყოდა იმას, რაც მილიუკოვის სიტყვებში ბუნდოვანათ არის მოყვანილი.

დროებითმა მთავრობამ შეგნებული ღალატი ჩაიდინა დემოკრატიის წინაშე და სრულიად ღირსეულათ დაიმსახურა ის, რაც პეტროგრადში მოხდა. თუმცა და კონფლიქტი დროებით შეჩერდა, მაგრამ მოსალოდნელია მისი განმეორება. ჩვენ ან ერთხელ და სამუდამოთ უნდა ნდობა გამოუცხადოთ მთავრობას, ან არა და უნდობლობა და შევქმნათ ახალი სამინისტრო, კომპრომისები ამ შემთხვევაში შეუძლებელია. ჩვენ გვინდა მთავრობა, რომელიც სინიდისის ქვეშ შეასრულებს თავის მოვალეობას და არა შიშის ქვეშ. ბურჟუაზია ხედავს აჩრდილს სოციალური რევოლიუციისას და ამიტომ ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ ბურჟუაზიული რევოლიუცია ბოლომდე არ მივიდეს. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ჩვენთვის ახალი მთავრობა. მარა არა კოალიციური სამინისტრო, არამედ მუშათა და გლეხთა საბჭოების მიერ მთავრობის ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

ვ. ჯუღელის შემდეგ ლაპარაკობს ორი ორატორი (ერთი მათგანი ჯარისკაცი) და ორივე იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ აუცილებლათ საჭიროა კოალიციურ სამინისტროს შექმნა.

ნოე რამიშვილი უარყოფს კოალიციურ სამინისტროს, რომელიც მას მავნებლათ მიაჩნია, რადგან იგი ნიშნავს მარჯვნივ გადახრას. ის ამბობს: ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც რევოლიუციას საფრთხეს უმზადებს ეს არის სასურსათო საკითხი. ამიტომ დიდი შეცდომა იქნება, რომ დემოკრატიამ სავსებით იდვას თავის თავზე ამ მძიმე საკითხის მოწესრიგება და ბურჟუაზია ჩამოიშოროს ასეთ დროს. მემარცხენე, ე. ი. მუშათა და გლეხთა საბჭოსაგან სამინისტროს შედგენა ბურჟუაზიას ჩამოაშორებს რევოლიუციას და თუ მარტო ამ კლასებს დააწვა რევოლიუციის მსვლელობა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მოახლოებულა რევოლიუციის დამარცხება. ამიტომ ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი უნდა ვიყოთ როგორც კოალიციური სამინისტროს შედგენისა, ისე მუშათა და გლეხთა დიქტატურისა.

ნოე ხომერიკმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ბურჟუაზია შეიძლება დაიყოს სხვადასხვა ჯგუფებათ. მილიუკოვი და გუჩკოვი ბურჟუაზიის იმ ჯგუფის წარმომადგენლები არიან, რომელიც დაპყრობითი პოლიტიკას აწარმოებს. ამიტომ საჭიროა, რომ ასეთი პირები სხვა პირებით შეიცვალოს, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს კოალიციურ სამინისტროს შეუდგენლათ. აუცილებელი საჭიროა აგრეთვე მოხდეს რეორგანიზაცია საგარეო პოლიტიკის მართვა-გამგეობაშიც, დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს აგრეთვე ელჩები. შემდეგ ის ეხება იმ ორატორთა აზრს, რომლებიც მოითხოვენ კოალიციურ სამინისტროს და ამბობს: კარგი მოსასმენია ასეთი ლამაზი სიტყვები, როგორიც არის ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და სხვა. მაგრამ, საქმეზე კი ასე აღარ იქნება, ჩვენი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს, მასის ორგანიზაციულათ შეკავშირება, ამ მხრივ ბევრი არაფერი გაკეთებულა და ასეთ პირობებში ძალა-უფლების ხელში ჩაგდებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეუგნებელი და შეუკავშირებელი მასა ვერ გაიგებს ძალა-უფლების ხელში ჩაგდების მნიშვნელობას ისე, როგორც ჩვენ და ამიტომ არც გამოგვყვება თან რევოლიუციის სრულ გამარჯვებამდე. შემდეგ ის განმარტავს სოციალური რევოლიუციის წარმოების საშუალებებს და ამბობს: ჯერ არც კი დაგვისრულებია მოლაპარაკება სხვა ქვეყნის მოძმეებთან და ასეთ დროს სოციალური რევოლიუციის ცეცხლის დანთებას გვირჩევენ. ცეცხლი შეიძლება გაჩაღდეს, მაგრამ ცეცხლი თითონ ჩვენ ჩაგვნთქავს. სწორეთ ეხლა დადგა დრო ნაყოფიერათ მუშაობისა და ასეთ დროს ძალა-უფლების ხელში ჩაგდებაზე ოცნება უტაქტიკობა არის. საქმეს იმით არაფერი ეშველება—მილიუკოვის მაგიერათ რომ თუნდ კაკი წერეთელი დავსვათ ან სხვა ვინმე, საქმე ის არის, რომ მასა შეგნებული და ორგანიზაციულათ მოწყობილი იყოს, სასურსათო და სხვა ასეთი კითხვები შესაფერისად და სასურველათ მოეწყოს და მაშინ დროებითი მთავრობის ეხლანდელი შემადგენლობაც არ არის საშიში.

რ. არსენიძე სასტიკი წინააღმდეგია კოალიციური სამინისტროსი და ამბობს: ჯერ რუსეთის რევოლიუციას იქამდის არ მიუღწევია, რომ ბურჟუაზია ზედმეტ ბარგს წარმოადგენდეს მისთვის და თავიდგან მოიშოროს იგი. ერთად ერთი სამინისტრო, რომელსაც სათავეში უდგას დემოკრატი მინისტრი—ეს არის იუსტიციის სამინისტრო და სწორედ დღევანდელ პირობებში ამ სამინისტრომ ყველაზე უფრო ნაკლები სარგებლობა მოუტანა რევოლიუციას და თუ მის წინააღმდეგ პროტესტი არ გაისმა ეს მხოლოდ თვით მინისტრი კერენსკის პირად პატივისცემას მიეწერება. დღევანდელ პირობებში, როგორც ბურჟუაზიული რევოლიუციის დროს, დიდ ზარალს მოუტანს რევოლიუციას ბურჟუაზიის გამოთიშვა.

უმთავრესია რევოლიუციის ბოლომდე დაყვანა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი დრ. მთავრობის უფრო დემოკრატიულ შემადგენლობაზე. მთავრობა ვერ მოგვცემს რევოლიუციის გაღრმავებას. პირიქით რევოლიუციის გაღრმავება მოგვცემს უფრო დემოკრატიულ მართველობას.

ბოლოს მან მოუწოდა რევოლიუციის მუშაობის გაძლიერებისაკენ, რათა პეტროგრადის აჩქარებულ მოძრაობას მხარ-და-მხარ გავდიოთ.

ილაპარაკეს აგრეთვე **ალ. დგებუაძემ**, **ალ. მაიხურაძემ** და სხვებმა, რომელნაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ კოალიციურ სამინისტროზე ზრუნვა უადგილო და ნაადრევია, საჭიროა მასაში მეტი მუშაობა და მასის ორგანიზაციულათ შეკავშირებაო.

ბოლოს სიტყვას ამბობს მომხსენებელი **ნოე ჟორდანია.** ის არ ეთანხმება იმ აზრს, ვითომც ბურჟუაზია შიშის გავლენის ქვეშ მოქმედებდეს, კლასის შიშით დამორჩილება შეუძლებელიაო, ამბობს იგი, ბურჟუაზია იმიტომ მოდის ჩვენთან ერთად ჯერ-ჯერობით, რომ დღევანდელი რევოლიუცია ბურჟუაზიულია. რაც შეეხება მილიუკოვს, ის ჯერ კიდევ რევოლიუციამდის ამბობდა, რომ მომხრეა დაპყრობითი პოლიტიკის და ეხლა მას სირცხვილის გამო არ შეუძლია თავისი სიტყვები უკან წაიღოს. ნოე ჟორდანიასვე წინადადებით კრებამ დიდი ხმის უმეტესობით ორთხის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) მუშათა დეპუტატების საბჭო დღევანდელ პირობებში შეუძლებლათ სცნობს კოალიციურ სამინისტროს შედგენას, 2) საბჭო აუცილებელ საჭიროთ სცნობს იმ მინისტრთა გამოცვლას, რომლებმაც სახელი გაიტეხეს უანექსიო ზავის წინააღმდეგ გამოსვლით და ასეთი პირები შეცვლილნი უნდა იქნენ ისეთებით, რომლებიც სრული მომხრენი არიან 27 მარტის დადგენილებისა. აგრეთვე დაუყონებლივ უნდა გამოქვეყნებულ იქნას ხელშეკრულებანი გარეშე სახელმწიფოებთა—მოკავშირეებთან დ დაუყონებლივ უნდა დაიცვალოს ელჩები. 3) საბჭო აუცილებელ საჭიროებათ სცნობს, რომ ახლო მომავალში იქნას პეტროგრადში მოწვეული სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთი და გლეხთა საბჭოების წარმომადგენელთა სიეზდი და შეიქმნას ცენტრი აღნიშნული ორგანიზაციებისა. 4) საბჭო აუცილებელ საჭიროთა სცნობს საჩქაროთ მოეწყოს მუშათა საბჭოს ხელმძღვანელობით გლეხთა ორგანიზაციები და საბჭოები.

ამას გარდა საბჭომ იქონია მსჯელობა საბჭოს გაფართოების შესახებ. **გ. ერაძემ** გააცნო კრებას აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება. კრებამ მცირე კამათის შემდეგ დაამტკიცა ეს დადგენილება, რომლის თანახმადაც წინანდელი 200-ს მაგიერ ეხლა უფლება ეძლევა ამა თუ იმ მუშათა ჯგუფს, 80—100-მდე ერთი კაცი იყოლიონ საბჭოში წარმომადგენლათ. არჩეულ იქნა 10 კაცისაგან კომისია, რომელსაც დაევალა დამატებითი არჩევნების მოწყობა წვრილ წარმოებებში მსხვილ წარმოებებში კი არჩევნებს უხელმძღვანელებენ უკვე არჩეული საბჭოს წევრები. აგრეთვე კრებამ დაამტკიცა შემდეგი რეგლამენტი: 1) დღის წესრიგს იმუშავებს აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო, 2) ორი დღის წინ აქვეყნებს გაზეთში, 3) ცალკე კითხვების დღის წესრიგის შესახებ წერილობითი განცხადებით უნდა ეცნობოს ბიუროს დღის წესრიგის შედგენამდე, 4) საჩქარო კითხვების შესახებ უნდა გადაეცეს ცნობა პრეზიდიუმს, რომელიც განიხილავს კითხვას და შემდეგ დააყენებს გასარჩევად. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა **ვ. ჯიბლაძის** მოხსენება მუშათა კომისიის მოქმედების შესახებ. მისივე წინადადებით კრებამ აირჩია ათი კაცისაგან შემდგარი ცენტრალური მუშათა კომისია, რომელსაც დაევალა მუშათა საქმის მოწესრიგება.

დასასრულ კრებას მოხსენება გაუკეთა კაპიტანმა სტრელკოვსკიმ, რომელიც ჯარ. კაც. საბჭოს დავალებით კავკასიის ფრონტზე იყო წასული. მან აღნიშნა ის პროვოკაციული გამოსვლები, რომლებსაც ადგილი ქონდა კავკასიის ფრონტზე აქა-იქ. ამ კითხვის გამოსარკვევათ კრებამ დაადგინა არჩეულ იქნას კომისია და აგრეთვე გაიგზავნოს ფრონტზე პროპაგანდისტები. კომისიის შედგენა მიენდო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ღამის 11 საათზე კრება დაიხურა. კრებამ დაადგინა: ოთხშაბათს, 3 მაისს შესდგეს მორიგი კრება.

ვ.

კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდი.

(მეშვიდე დღე, 1 მაისი.)

სხდომა გაიხსნა 9 ს. 15 წ. **ზვონარიოვის** თავმჯდომარეობით. წაკითხული იქნა სიეზდის მიერ დამტკიცებული პრეზიდიუმის დადგენილება, რომლის თანახმად ყველა ამიერ-კავკასიის, ვლადიკავკაზისა და სხ. რკინის გზათა და ნავთსადგურების ახლოს მდებარე გარნიზონების აღმასრულებელ კომიტეტებს უნდა ეთხოვოს მოაწყონ დელეგატთა მორიგეობა სადგურებზე, რომ მოაწესრიგონ მოკლე ვადით განთავისუფლებულ ჯარისკაცთა (**отпускные**) მიმოსვლის საქმე. თუ ასეთ ჯარისკაცთა რიცხვი დიდია, ყველა გარნიზონების აღმ. კომიტეტები ვალდებულია გააყოლონ მათ თითო დელეგატი 10—15 შეიარაღებულ ჯარისკაცთა თანხლებით შემდეგ გარნიზონამდე. პოზიციებზე მიმავალ როტებსაც უნდა გაყვეს აღმ. კომიტეტის წარმომადგენელი. გზაში მიმავალი ჯარისკაცები ირჩევენ უფროსს, რომელსაც ექნება დამოკიდებულება რკინის გზის აგენტებთან და დელეგატებთან. უნდა მიღებულ იქნას ყოველივე საშუალება, რომ არ მოხდეს სადგურზე ჯარისკაცთა შექუჩება. ამ საქმის მოწყობა ევალება კავკასიის ჯარის მთავარ შტაბს კომისარიატთან ერთად. უნდა მოეწესრიგდეს ჯარისკაცთა მიმოსვლა აგრეთვე გზატკეცილებზედაც, მათ უნდა მიეცეს საშუალება ნივთების გადასაზიდავათ. ყველა სამხედრო ნაწილებში არსდება დროებითი სამკურნალო კომისიები, რომლებშიაც შევლენ ჯარისკაცთა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. სიეზდმა დაადგინა აგრეთვე, რომ დღეიდან მხოლოდ ისეთ დადგენილებათა შესრულებაა სავალდებულო, რომლებიც მოწონებულია პრეზიდიუმის, კომისარიატის წარმომადგენელთა და სექციის წევრების მიერ. ამასთანავე რკინის გზის სადგურებზე იგზავნება სიეზდის დელეგატები, რათა გამოარკვიონ ყოველგვარი გაუგებრობა. სანამ მოეწყობოდეს კავკასიის ჯარის ცენტრალური კომიტეტი, ყოველივე მასალა უნდა გამოიგზავნოს თფილისის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის საგამომძიებლო სექციაში. ყველა დელეგატს ნება აქვს მიიღოს საჭირო ცნობები სხვადასხვა დაწესებულებათაგან. სიეზდს ესწრებიან მოკავშირეთა წარმომადგენლები.

ამის შემდეგ თანამედროვე ომზე მოხსენებას აკეთებს **აკაკი ჩხენკელი.** პრინციპიალურათ—ამბობს ორატორი—ჩვენ მუდამ წინააღმდეგი ვიყავით ომისა, მუდამ უარყოფით ვეკიდებოდით მას. ვიბრძოდით და ყოველივე ძალ-ღონით ვცდილობდით თავიდან აგვეცილებია ომი. ამ გადაწყვეტილებას სოციალისტური პარტიები ატარებდენ ცხოვრებაში ინტერნაციონალის საშუალებით, რომლის მიზანია სოციალიზმის განხორციელება. ინტერნაციონალის ყველა სექცია ებრძვის ომს, რადგან იგი გამოწვეულია კაპიტალისტური წყობილებით. ომს ნიადაგს უმზადებს ეკონომიური ფაქტები და მას აჩაღებენ გაბატონებული კლასები, ან მათი აღმასრულებელი კომიტეტი—მთავრობა, როგორც კ. მარქსი იტყოდა. იქ, სადაც არსებობს კერძო საკუთრება, სადაც ცხოვრება დამყარებულია ექსპლოატაციაზე და სახელმწიფოებრივი წყობილება ერთი ადამიანის მიერ მეორეს შევიწროებაზე, სადაც შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნები და ხალხები უმოწყალოდ იყვლიფებიან—ყოვლად შეუძლებელია ომის მიღება, მისი მოწონება... კაპიტალისტური წარმოება არ არის მოწესრიგებული, იგი ანარქიულია, ნაწარმოების განაწილება არ ხდება ორგანიზაციულად, რაც იწვევს კრიზისებს, ბადებს გარეშე ბაზრების დაპყრობის სურვილს, ნიადაგს ქმნის შეიარაღებული შეტაკებისათვის!.. აქ მომხსენებელი აღნიშნავს მძიმე ინდუსტრიის როლს ომის წარმოშობაში. მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კრუპის, კრიზოს, პუტილოვის ქარხნების აქციონერთა შორის არიან თვით მთავრობის წარმომადგენელნი, თვით მეფეები... ამნაირად ისინი თვით არიან დაინტერესებული გაჩაღდეს ომი, რომ მეტი მოგება მიიღონ... აღნიშნა იგრეთვე, თუ რა როლს თამაშობს ფინანსიური კაპიტალი თანამედროვე საერთაშორისო დამოკიდებულებაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვას ამა თუ იმ „ფინანსიურ მეფეს" ომის საკითხის გადაჭრაში. ნიკოლოზ რომანოვს—ამბობს შემდეგ მომხსენებელი—რამოდენიმე მილიონი აქვს დაბანდებული ინგლისის ბანკებში, ვილჰემ მეორეს—ამერიკაში და სხვ. ამნაირად ომის წარმოშობის მიზეზია ყველა ქვეყნები, მთელი ჩვენი ცხოვრება, თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება დ აი ამისათვისაა, რომ ინტერნაციონალი პრინციპიალურათ წინააღმდეგია ომის, ერთსულოვნათ გმობს მას. აზრთა სხვა და სხვაობას იწვევს მხოლოდ კითხვა, თუ რა საშუალებით შეუშალონ ხელი ომის წარმოშობას, დ რა გზით ჩააქრონ, თუ ფაქტათ იქცა ომი. აქ მომხსენებელი მოაგონებს მსმენელთ ამ კითხვის შესახებ ა. ბებელსა და ჟ. ჟორესს შორის უთანხმოებას, რომელსაც ჰქონდა ადგილი 1907 წ. შტუტგარტის კონგრესზე და აღნიშნავს, რომ ა. ბებელი, რომელიც ამტკიცებდა ომის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობას, გაამართლა ცხოვრებამ... ა. ბებელი ამბობდა, ომის დროს საყოველთაო გაფიცვა—საყოველთაო უაზრობააო. მაგრამ მიუხედავათ ამისა სოციალისტური პარტიები ყოველთვის ერთ ტაქტიკას იმუშავებდნენ და ებრძოდენ ომის წარმოშობას, და თუ იგი მოხდებოდა—ცდილობდენ მის შეჩერებას. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოვალეობას შეადგენს გაატაროს ცხოვრებაში კონგრესების დადგენილებანი, ხელი შეუწყოს

სოციალისტურ პარტიათა ერთსულოვან და ერთდროულ გამოსვლას.

თანამედროვე უმაგალითო ომის დაწყების 3 დღის წინ შეიკრიბა კიდევ ბიურო, მას დაესწრო ჟ. ჟორესი და ჰაზე, რომელთაც შეფიცეს, ყოველივე ძალღონით ხელი შეეშალათ ომისთვის, შებრძოლებოდენ მას, და თუ მოხდებოდა იგი, მოეწყოთ სოლიდარული გამოსვლა მის წინააღმდეგ მთელი ინტერნაციონალისა... მაგრამ ჟ. ჟორესი მოკლეს, ეს იყო პირველი სიგნალი ინტერნაციონალის დაშლისა... არ გამართლდა იმედები, სოციალისტური პარტიები ვერ აღმოჩნდენ თავის ღირსებისა და ისტორიული მოწოდების სიმაღლეზე, 3 წლის განმავლობაში ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს ერთსულოვანი, სისტემატიური გამოსვლა ომის წინააღმდეგ... აქ მომხსენებელი არკვევს იმ პირობებს, რომელშიაც უხდებოდა ჩვენს ჯარს მოქმედობა... გაბატონებულმა კლასებმა გადმოისროლეს კეთილშობილური ლოზუნგები, რომელთა განხორციელება ვითომდა ჰქონდათ მიზნათ ომის საშუალებით, მაგრამ ეს არ გამართლდა. როცა გაჰყვიროდენ სხვა ერთა განთავისუფლებაზე, თავის ხალხს საშინლათ ავიწროებდენ, მთელი ებრაელობა დაარბიეს, გაანადგურეს... სახ. დუმაში მოდიოდა ცნობები, რომ მთელს პოლონეთში არც ერთი დედაკაცი არ დარჩა, რომ არ გაეუპატიურებინოთ... ყოველივე მიზეზს გარეშე სტოვებდენ პოლონეთის ტერიტორიას მტრისაგან გასანადგურებლათ. ამ საქმეში დამნაშავე გენ. იანუშკევიჩი დღეს პასუხისგებაშია მიცემული... გალიციაში აწიოკეს უკრაინელები, გაანადგურეს მათი კულტურა, მათი შკოლები, იქ გაგზავნეს ბობრინსკები და ყველაფერი მოსპეს... მათი ეკლესიები ისეთ საზიზღრობას ჩადიოდენ, რომელთა შესახებ აქ ლაპარაკი შეუძლებელია. ეკლესიებში როზგავდენ არა მარტო მამაკაცებს, დედაკაცებსაც... ბათუმის ოლქის მუსულმანები და ქართველები იმდენათ შეავიწროვეს, რომ ისინი ოსმალეთში გარბოდენ იმის მაგიერათ, რომ ჩვენში გადმოხვეწილიყვენ... და ეს ყოველივე ხდებოდა მაშინ, როცა საქვეყნოთ აცხადებდენ, რომ თანამედროვე ომი, წვრილ ერთა განმათავისუფლებელი ომიაო... უსირცხვილოთ ყიდდენ სამშობლოს ინტერესებს, ხალხს მიერეკებოდენ ბრძოლის ველზე და თვითონ კი ვაჭრობას მართავდენ მტერთან!.. შემოიღეს როზგი... საჭირო იყო გამოცდილი და პატიოსანი ხელმძღვანელები—ბატონობდენ რასპუტინები... ამბობდენ, დავეხმარებით მუშებსო, ხოლო სინამდვილეში კი მათ სასტიკათ სდევნიდენ, მისი წარმომადგენლებით ციმბირი გავსეს... ამნაირათ ყველა დაპირებანი მთავრობისა გამოდგა მტკნარი სიცრუე... ამას ამჩნევდენ ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც, მაგრამ ვერ ბედავდენ აღნიშვნას. მხოლოდ ჩვენ ს.-დ. ფრაქცია და შრომის ჯგუფი ვხდიდით ფარდას დუმის ტრიბუნიდან ამ საზიზღრობას...

როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება დღევანდელ ომთან? ეს კითხვა უკვე გადაჭრა რევოლიუციონურმა ორგანოებმა, რომლებიც სათავეში უდგანან რუსეთის დიდ რევოლიუციას. ძველი რეჟიმის დროსაც, მიუხედავათ ათასგვარ დაბრკოლებისა, ს.-დ. და ს.-რ. მაინც ვახერხებდით არა ლეგალურათ გამოგვეთქვა ჩვენი შეხედულება ომზე. ომს ვერ გაათავებენ გაბატონებული კლასები, ორივე მხარის მმართველი წრეები იმდენათ დაინტერესებულნი არიან ომით, რომ ის აუცილებლათ ხანგრძლივი იქნება, თუ თვით ხალხმა არ ჩაიგდო ხელში მისი ლიკვიდაციის საქმე. ამ ნიადაგზე ჩვენ ვებრძოდა ყველა ფრაქციებს, მაგრამ ცხოვრებამ ჩვენ გაგვამართლა. დღეს ჩვენ ვსჭრით ომისა და ზავის კითხვას და ამისთვის რევოლიუციონურმა ხალხმა უნდა სთქვას, რომ იგი იბრძოლებს მანამდის, სანამ არ შექმნილა პირობები სეპარატიულ ზავისათვის. ჩვენ ვერ შევკრავთ სეპარატიულ ზავს, ეს დაღუპავდა მოპოებულ თავისუფლებას. სეპარატიული ზავი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გერმანიის პროლეტარიატი გადმოაგდებს ტახტიდან ვილჰელმს და ჩვენთან ერთად ივლის და თუ ამავე დროს ინგლისი არ გამოეხმაურება რევოლიუციას, თუ არ მოაწყობს რევოლიუციონურ გამოსვლებს. მაშინ ჩვენ გერმანიის პროლეტარიატთან ერთად დავეჯახებოდა მის წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგანაც ასეთ პირობებში სხვა ქვეყნებს დაეკარგებოდათ ვილჰელმის შიში და მხარს დაუჭერდენ რევოლიუციას. ვილჰელმთან სეპარატიული ზავის ჩამოგდება ჩვენი ეკონომიურათ დამონავების მომასწავებელი იქნებოდა.

ვ. ალათიშვილი.

(დასასრული იქნება)

სოციალდემოკრატიულ პარტიაში

თფილისი.

დღეს 28 აპრილს შეიკრიბა ორმოცი მაჰმადიანი სოციალდემოკრატი; იქონიეს მსჯელობა თანამედროვე მომენტზე და დაადგინეს შექმნან ს. დ. ორგანიზაცია, აირჩიეს ორგანიზატორები. ბოლოს მისალმების დეპეშა გაუგზავნეს კ. ჩხეიძეს.

ხაშურელ დასელ ქალთა დამფუძნებელი კრება.

21 აპრილს, სათეატრო შენობაში, ამხანაგ ქალების ინიციატივით მოხდა ხაშურის რაიონის დასელ ქალთა პირველი დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრო ას ქალზე მეტი. ვიდრე დღიურ წეს-რიგს შეიმუშავებდნენ, კრებამ ასეთი შინაარსის დეპეშა შეიმუშავა დროებითი მთავრობისადმი: „მიხაილოვის რაიონის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის ქალთა კრება უძღვნის რა სალამს დროებითი რევოლიუციონურ მთავრობას, ღრმათ დარწმუნებულია, რომ განახლებული რუსეთი მამაკაცებთან ერთათ ქალსაც მიანიჭებს მოქალაქობრივ და პოლიტიკურს უფლებებს“. დეპეშის შინაარსს ტაშით მიეგება კრება. შეიმუშავეს შემდეგი წეს-რიგი: სარაიონო ქალთა პარტიული ორგანიზაციის შექმნა, ორგანიზატორთა და საწევრო ფულის შემკრებ ბიუროს არჩევა და სხვა საკითხები. ამასთან გამოითქვა სურვილი, რაც შეიძლება მოკლე დროში მოწვეულ იქნეს პარტიული კრება—პარტიის წევრთა რეგისტრაციისათვის, პარტიული ორგანოების შესაქმნელათ და ადგილობრივ სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის ორგანოებთან დასაკავშირებლათ. კრების გათავების შემდეგ ამხ. ქალებში გამოითქვა სურვილი სოც.-დემოკ. პროგრამის გაცნობისა. კრებაზე ბევრი უპარტიო ქალებიც იყვნენ და რომლესაც ჩვენს პროგრამას გაეცნენ მოიწონეს და იქვე განაცხადეს სურვილი პარტიაში ჩაწერისა.

ნიკო გურული.

ქ. თელავი.

გამოცხადდა თუ არა თავისუფლება, იმ წამსვე რამდენიმე ინტელიგენტი და შეგნებული მუშები შეუდგა ენერგიულათ მუშაობას. პირველ ყოვლისა ს. დ. თაოსნობით დაარსდა უპარტიო მუშათა საბჭო, რომელშიაც შედის 100 წევრი, ხოლო აღმასრულებელ კომიტეტში ოც წევრამდი. ამ ხანებში თფილისიდან მოგვეშველენ ამხანაგები რაფიელ ჩიხლაძე და ანდრო ქაჯეროვი. მოსულმა ამხანაგებმა გაამტკიცეს და მოაწყვეს ადგილობრივ ნაჩქარევათ შედგენილი მუშათა საბჭო და აგრეთვე ჯარისკაცთა საბჭოც (თელავში პრაპორჩიკთა სკოლაში და მის გარეშე 1000 ზე მეტი ჯარისკაცი იქნება). ეს საბჭოები ამ ქამათ ერთად მუშაობენ, ისე როგორც სხვა დიდ ცენტრებში. ამ საბჭოების და ს. დ. თაოსნობით გაიმართა პირველი მიტინგი 26 მარტს, სადაც კახეთში მცხოვრებლებ ხალხმა პირველათ დაინახა ჯარის კაცები და მუშები ერთათ წითელი დროშის ქვეშ, დიდი შთაბეჭდილება დატოვა ამ მიტინგმა. აქ დარწმუნდა ხალხი, რომ მუშები მარტო არ არიან ამ რევოლიუციაში, რომ მუშებთან ერთათ ჯარიც იცავს მას. ამით მიტინგმა გაუმტკიცა და გაუღრმავა ხალხს იმედი და სიყვარული რევოლიუციის. ამგვარათვე გაჩაღდა მუშაობა სოფლებშიაც. ამ ხანებშივე ს.-დ. დროებითმა კომიტეტმა დაიწყო წევრთა რეგისტრაცია, მოაწყო პროპაგანდისტთა წრეები და გაჩაღა როგორც თელავში ისე მის ახლო-მახლო სოფლებში მუშაობა. თუ რამდენათ ნაყოფიერი იყო მუშაობა, ნათლათ დაინახა ყველამ 18 აპრილის დღესასწაულმა. პირველი მაისობა საუცხოვოთ იქნა ჩატარებული თელავის საზოგადო ბაღში, სადაც 5 ათასამდე ქალი და კაცი იყო შეკრებილი თავიანთი დროშებით. დაუვიწყარი სურათი იყო ჯარის მოსვლა მუსიკით, დროშებით და მარსელიოზის სიმღერით. ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არ ქონდა. საერთო ლოზუნგი იყო: „8 საათის სამუშაო დღე“ „ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო“ „გაუმარჯოს სოციალიზმს“ და სხვ. ყველა ორატორები ამ ლოზუნგების ფარგლებში ათავსებდენ თავიანთ სიტყვებს. ილაპარაკეს აგრეთვე ჯარისკაცებმა და აფიცრებმა და სხვა პარტიების წარმომადგენლებმაც. მიტინგი დამთავრდა იშვიათის წესრიგით, მარა აღფრთოვანებული ხალხი ჯართან ერთათ მარსელიოზის სიმღერით გვიანამდის უვლიდენ ქალაქს მიუხედავათ გადაუღებელ წვიმისა.

23 აპრილს თელავის შემნახველ-გამსესხებელ კასის სადგომი მშვენივრათ მორთული ყვავილებით, სურათებით და მწვანეთი ძლივს იტევდა ს. დ. პარტიის წევრებს, რომელნიც ს. დ. „დამფუძნებელ კრებაზე“ მოვიდენ. დაახლოვებით 600 კაცამდე იქნებოდა. კრება გახსნა ძველი დროებითი კომიტეტის თავმჯდომარემ სოსო მაჭავარიანმა, რომელსაც სხვა წევრებთან ერთათ ხალხმა დიდი ოვაციები გაუმართა. კრებას მიესალმა პირველათ ამხ. მაჭავარიანი, შემდეგ ილაპარაკა გლეხმა ძველმა ერთგულმა მომუშავემ გიო ლასარაშვილმა, მერე ამხ. რაფიელმა წარმოსთქვა სიტყვა რუსულ ქართულათ. რაფიელის სიტყვას დაუსრულებელი ოვაციები მოყვა. ამხ. რაფიელმა ამ კრებას „ისტორიული“ კრება უწოდა და მართლაც და ისტორიული იყო თელავის მუშათათვის. აბა ვინ იფიქრებდა, რომ მძიმე, დინჯი, აუჩქარებელი კახელი გლეხი და მუშა ასე სწრაფათ, ასე შეკავშირებულათ და ასე მეცადინეთ შეუდგებოდა თავის მუშურ საქმის კეთებას. მისალმების შემდეგ კრება შეუდგა წესრიგში დასმულ კითხვების განხილვას. ეს კითხვები იყო წესდების განხილვა, დამტკიცება და ამორჩევა მუდმივი კომიტეტისა. კრებამ მცირე შესწორებით მიიღო თფილისის ს.-დ. ორგანიზაციის შემუშავებული წესდება. შემდეგ ამოირჩიეს 11 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი. კრების დასასრულ ამხ. რაფიელმა მოუწოდა ამხანაგებს ენერგიულათ მუშაობისკენ, მან სთქვა, რომ ჯერ კიდევ ცოტანი ვართო, ჯერ კიდევ არა გვიკეთებია რაო, ამიტომ დავეხმაროთ და ერთათ შევქნათ ძლიერი მუშათა პარტიაო, დაათავა ლასალის სიტყვებით: „მუშავ, შენ ხარ სიმართლე, შენ ხარ სინათლე, შენ ხარ საფუძველი, რომელზედაც აშენდება მომავალი ბედნიერებაო“ (ტაშის გრიალი). ბოლოს პრეზიდიუმმა და დამსწრე ამხანაგებმა მადლობა გამოუცხადეს ამხ. რაფიელს დაუღალავი შრომისთვის. კრებამ ერთხმათ დაადგინა გაუგზავნოს დეპეშები პლეხანოვს, ჩხეიძეს და ნოე ჟორდანიას, რის შემდეგ მარსელიოზის სიმღერით დაიშალენ. ვუსურვებთ გამარჯვებას, შეგნებულათ მუშაობას თელავის ამხანაგებს.

თ. გ.

რევოლიუცია პროვინციაში.

ჯვარცხმის საზოგადოება. (გურია). ჯვარცხმის საზოგადოებას შეადგენს შემდეგი სოფლები: ზემო-ჯვარცხმა, ქვემო ჯვარცხმა, გუ[illegible]ური, ზენობანი, ახალშენი, ინტაბუეთი და გორა-ბერეჟოული. ზემოხსენებული საზოგადოება თითქმის საუკეთესო საზოგადოებად ითვლება ჩოხატაურის რაიონში. არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, წვრილი საკრედიტო ამხანაგობა, ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი ექვსწლიანი კურსით. არის გახსნილი ს. ახალშენში ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, სადაც თუმცა უსახსრობის გამო სკოლა დროებით შეჩერებულია, მაგრამ ვიმედობთ, რომ ახლო მომავალში ეს სკოლა სამინისტრო სკოლათ გადაკეთდება და მეცადინეობაც დაიწყება. გაიხსნა აგრეთვე ერთ კლასიანი სასწავლებლები საზოგადოების ხარჯით. ააგეს ორკლასიანი სკოლის ეზოსთან მომხმარებელ საზოგადოების „შეღავათისთვის“ ქვის შენობა, სადაც კოოპერატიული წარმოება მშვენივრად არის დაყენებული.

18 აპრილს კრებაზედ არჩეულ იქნა ჯვარცხმის ბიბლიოთეკა სამკითხველოსთვის გამგეობა, რომლის წევრებად ითვლებიან: ლეონიდე პაიჭაძისა ბაბილიას ასული, კაპიტონ ჩხიკვაძე, ერმილე პაიჭაძე და მღ. იობი ჩიგოგიძე. ვუსურვებ მათ გაძლიერებული ენერგიის გამოჩენას სამკითხველოს რიგიანად მოწყობისთვის.

ხ. მ—ძე.

ქაზვინი. (პერსია). თავისუფლების სხივებმა აქაც შემოანათა. იმართება მიტინგები რომელსაც აუარებელი ჯარის კაცნი და აფიცრები ესწრება. ვრცელდება ს. დ. კომიტეტის მიერ გამოცემული ფურცლები. აქ ვიდღესასწაულეთ პირველი მაისი. დაესწრო დიდი ძალი ჯარი და ხალხი.

პარმენ ფუთარიძე.

ჩოხატაური. (გურია). 9 აპრილს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, სანამ სამაზრო კომიტეტის წევრი გააკეთებდა მოხსენებას, სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კ. ცინცაძემ, რომელმაც მშვენივრად გააშუქა დღევანდელ სერიოზულ მომენტის სირთულე-სიდიადე.

ამის შემდეგ სამაზრო კომიტეტის წევრმა გააკეთა მოხსენება დეზერტირებისა და სხვა-დასხვა თანამდებობის პირთა შესახებ; მისი წინადადებანი ერთხმად იქნა მიღებული.

დასასრულ კრებამ დაავალა აღმასრულებელ კომიტეტს, რომ მათ შეიძინონ საუკეთესო დროშა, რომელიც ახლო მომავალში უნდა იქნას აღმართული ხალხის გულის მესაიდუმლის სასიქადულო ბელეტრისტის ე. ნინოშვილის საფლავზე. კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო.

არსენ ხაბაშვილი.

ტუაპსე. მუშ. და სალ. საბჭოები განსაკუთრებულის ენერგიით მუშაობენ. მათ აპრილის შუა რიცხვებში მოახდინეს მთელი შემადგენლობის საფუძვლიანი რეორგანიზაცია და განახლებულის ძალებით მუყაითად მოქმედებენ. ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტიც გვარიანათ მუშაობს. ქალაქში სრული წესიერება სუფევს, არავითარ ექცესს ადგილი არ ქონია. აქ იკვრება სხვადასხვა დარგის მუშების პროფესიონალური კავშირები და არსდება პარტიული ორგანიზაციები. აქ დაარსდა ეგრეთ წოდებული ქართველ მუშათა და ჯარისკაცთა შეერთებული წრე, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული გათვითცნობიერება, ახსნა და განმარტება მიმდინარე მომენტისა.

ყველა აქ მყოფი ქართველი ვალდებულია კანტროლათ უდგეს ამ წრეს, რომ მან არ მიიღოს არავითარი განკერძოებული და ნაციონალისტური ხასიათი, რაც პირდაპირ დამღუპველი იქნება.

ს. ზაქარეიშვილი.

სარიყამიში. 27 აპ. „ზემგორი“-ს მე-4 უჩასტკაში გაიმართა მუშა-მოსამსახურეების მიტინგი, სადაც დაესწრო 400 კაცი. ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის სახელით კრებას მიესალმენ სტ. ალავერდოვი, მანიევიჩი და ბუკრეევიჩი.

დ. ჟრებალო, (ლეჩხუმის მაზრა). 23 აპრ. აქ მოხდა მიტინგი, დაესწრო რამოდენიმე ათასი ქალი და კაცი. ფრიალებდა რამოდენიმე დროშა. რუბენ ყიფიანის მეთაურობით მიტინგის მონაწილენი გაეგებენ ხვანჭკარის საზოგადოებიდან მომავალთ. ხალხმა მოიყარა თავი ერთი ხვანჭკარელი მოქალაქის ეზოში. წარმოსთქვეს დროის შესაფერი სიტყვები: ვასილ ტყეშელაშვილმა, არტემ შიშინაშვილმა, სპირიდონ ჭელიძემ და ბოლოს დაიწყო რუბენ ყიფიანმა, რომლის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ალე ალხაზაშვილი.

სამურზაყანო. 16 აპრილს დ. გალში თავი მოიყარა მთელი სამურზაყანოს სამრევლო და სამინისტრო სკოლების მასწავლებლებმა კავშირის დასაარსებლათ. კრება გახსნა ამხ. პ. ჭარაიამ. თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს მასწავლებელი პეტრე ჭარაია, მის ამხანაგათ ვ. ჭარაქაძე, მდივნათ ს. შონია. კრებამ ფეხზე ადგომით პატივისცა რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას.

კრებამ დაადგინა: 1) შეერთებულ იქნას ორივე უწყების სკოლები ერთ ორგანოს ქვეშ. სანამ ეს განხორციელდებოდეს მღვდლები დღესვე უნდა ჩამოშორდენ სკოლის საქმეს. 2) საეპარქიო საბჭო, გადაყენებულ იქნას ეხლავე, მათ შორის, ეპარქიის მეთვალყურეს ალფეროვს გამოეცხადოს საერთო გულისწყრომა. სკოლების ყოველგვარი საქმეები და მათი ყურის გდება მიენდოს მასწავლებლებისგან არჩეულ სასკოლო ინსპექციას. 3) რადგან მოწაფე ახალგაზრდობას შეუძლია დახმარება გაუწიოს ხალხს მუშა ხელის ნაკლებობის დროს, კრებამ დაადგინა: დაითხოვონ მოწაფეები 20 აპრილიდან. 4) მასწავლებელი ასწავლიდეს მხოლოდ თითო განყოფილებას. 5) ის მასწავლებლები, რომლებიც დანიშნულნი არიან ჯარში გაწვეულ მასწავლებელთა ადგილზე, გათანასწორებულ იქნან მატერიალურის მხრით სხვა მასწავლებლებთან. 6) მასწავლებლების გადაყვან-გადმოყვანა, მათი სურვილის წინააღმდეგ არ უნდა ხდებოდეს არც საზოგადოების და არც უბნის კომიტეტის დადგენილებით. ასეთ გადაყვან გადმოყვანის საქმეს აწარმოებს ადგილობრივ კავშირის გამგეობასთან შეთანხმებით, ის ახალი დაწესებულება სუხუმის ოლქში, რომელიც დაიჭერს სამოსწავლო საბჭოსა და სასკოლო ინსპექციის ადგილს. 7) გაეგზავნოს მისალმების დეპეშები ჩვენს სახელოვან დეპუტატს კ. ჩხეიძეს, იუსტიციის მინისტრს კერენსკის და კავკასიის კომისარიატს.

მეურნე.

გაზეთის სასარგებლოთ.

ერევანში მყოფ ქართველ ჯარისკაცებისაგან პარმენ დ—რიის ხელით ჩვენი გაზეთის ფონდისთვის მივიღეთ 24 მ. 60 კ.

ყარსიდან მივიღეთ პრესის დღეს, 22 აპრილს, შეგროვილი 308 მ., აქედან 50 პროც. „ერთობისაა“, 25 პროც. „ფაიქარის“ და 25 პროც. „კავკ. რაბოჩ.“ ფული გამოგვიგზავნეს დროებითი ბიუროს წევრებმა.

„ერთობის“ ფონდისთვის მივიღეთ ბ. ბოლქვაძისაგან ძანსულის მუშებში შეკრებილი 36 მ. 60 კ.

პრაპორშჩიკ სიო სეფერთელიძისაგან 10 მ.

სარიყამიში. 1 კლასის ბუფეტის მოსამსახურეთაგან გაზეთ „ერთობის“ სასარგებლოთ ჯაშის ხელით მიღებულია 21 მ. 50 კ.

მონდობილობით **პროკოპი ჯაში.**

გ. დეკანოზიშვილისაგან მივიღეთ მცხეთის ამხ. კომიტეტის მიერ შეგროვილი 29 მან. 40 კაპ.

პეტრე ღუღუნიშვილმა მოგვაწოდა ჯარისკაცებში შეგროვილი 5 მ. 50 კ.

1) მელიქ ლებანიძე 3 მანეთი.
2) ხიზანაშვილი სოლომონ 2 მანეთი.
3) ალექსანდრე ლევანის ძე ფაილაძე 5 მ.

მიხა ხელაძისაგან „ერთობის“ სასარგებლოთ მივიღეთ აჯიკაბულში შეგროვილი 23 მ.

მუშათა გაზეთ „ერთობას“ ვწირავ ჩემს მცირედ წვლილს სამ მანეთს.

სამსონ მიხეილის ძე კიკაჩეიშვილი.

ტოლეს ქარხნის მუშებისაგან კარლო ჩხეიძის ვაჟის სტასიკის ხსოვნის აღსანიშნავათ მივიღეთ 33 მ. 45 კ.

გიორგი ხოშტარიასაგან 3 მანეთი.

ვლადიმერ ივანოვისაგან 25 მან.

სადგ. კარატაპიდან რემონტის მუშებში შეგროვილი სერგო სახვაძის ხელით მივიღეთ 8 მ.

თფილისის წვრილ ხუროებისაგან მივიღეთ 24 მან.

ნავთლუღის განმანაწილებელ პუნქტის მოსამსახურეთაგან: 264 მ. 75 კ. საოლქო კომიტეტის ორგანოთა სასარგებლოთ.

ამხ. მონდობილობით **ტ. ულენტი.**

ნავთლუღის საქონლის სადგურის გადამტვირთავ მუშებისა და დარაჯებისგან საოლქო კომიტეტის ორგანოების სასარგებლოთ 154 მ. 20 კ.

ამხ. მონდობილობით **ჯუჯუ ლომთათიძე და შ. კაზაროვი.**

ნავთლუღის საქონლის სადგურის საშუალო და მაღალ მოსამსახურეებისაგან საოლქო კომიტეტის ორგანოების სასარგებლოთ 35 მ.

ამხ. მონდობილობით **ახვლედიანი.**

გარდაცვალებულ ძვირფას ამხანაგ ვანო გრიგორის ძე გოზალაშვილი, რომელიც დავასაფლავეთ სოფელ კარია-პალატაში, გზატკეცილის ახლო მალიკანიდან 3 ვერსის მანძილზე, მისი ხსოვნის აღსანიშნავათ გიგზავნით 39 არტილ. ბრიგადის სალდათებ შორის შეკრებილ 26 მ. 50 კ. გაზეთ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ.

ამხ. მონდობილობით **ვ. ხადულიშვილი.**

წერილები რედაქციის მიმართ.

პროტესტი გაზეთ „საქართველოს“.

სოფ. მარტყოფის მრავალრიცხოვანმა სასოფლო ყრილობამ, 16 აპრილს მსჯელობა იქონია გაზ. „საქართველოს“ № 78-ში მოთავსებულ წერილის შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ათას-ამასი კომლიანი სოფლის მარტყოფის ბედიგბალი ბიჭ-ბუჭებს ჩაუვარდათ ხელში, აღმასრულებელ კომიტეტში უღირსნი მოყვნენ, რომლებიც ტერორს ავრცელებენო და სხვა. კრებამ დაადგინა: გამოეცხადოს ზიზღი ამგვარ ყალბი ცნობების მომწვდენელს, რომელიც შეურაცხყოფს მთელ სოფელს და ჩირქსა სცხებს მის მიერ ნდობით აღჭურვილ პირებს. გამოეცხადოს უღრმესი გულისწყრომა აგრეთვე გაზ. „საქართველოს“, რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენებურ შავრაზმულ და კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს სახელი გაუტეხონ ხალხის ერთგულ და უანგარო მუშაკებს და ამითი ხელი შეუშალონ რევოლიუციონურ მოძრაობას და თავისუფლების დამყარებას.

სოფ. მარტყოფის აღმ. კომიტეტი.

ღია ბარათი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მაჭავარიანს.

მიმდინარე წლის თებერვლის რიცხვებში, თქვენ შეკრიბეთ ქ. „აზრუმში“ ვარაზაშვილის კანტორის მოსამსახურეთა შორის, ფულები, თფილისის ქართულ გიმნაზიასთან არსებულ, ღარიბ მოწაფეთა უფასო სასადილოს სასარგებლოთ, რომელიც უნდა გადაგეცათ დანიშნულებისამებრ და გამოგეცხადებიათ ქართულ გაზეთებში.

გთხოვთ გვაცნობოთ გადაეცით თუ არა ეს ფულები დანიშნულებისამებრ.

შემომწირველთა მონდობილობით

ვახო კურტანიძე.

ივლიანე კოკაია მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, ვინც თავისი წვლილი გაიღო **ხ. წყემის ბიბლიოთეკის** სასარგებლოთ.

სოფ ზემოხეთი. 1916 წ. სოფ. ზემოხეთში დაარსდა წიგნთ-საცავ სამკითხველო წმ. ნინოს სახელობაზე. გამოირკვა, რომ ლ. გ—ს აღმოუჩენია დახმარება სამკითხველოსთვის ფულად და ნივთიერად, შეგროვილი 483 მ. 43 კ. მასთანვე წამოაყენა მასწ. ტ. თევზაძემაც თავისი ანგარიში, რომელიც უდრის 82 მან. და 75 კ. კრებამ ორივენი მადლობით და ხანგძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

შალიკო ნიკოლაიშვილი.

დვაბზუს ბიბლიოთეკა სამკითხველოს გამგეობის მონდობილებით მასწავ. ივსიხი მენაბდე უღრმეს მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, ვინც თავისი წვლილი გაიღო ხსენებული ბიბლიოთეკის სასარგებლოთ.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

როგორც გვწერენ ფრონტზე გარდაცვლილან შემდეგი სალდათები: ვასილ დათიკოს ძე ფუტკარაშვილი, თელავის მ., ს. შილდა და გიორგი ისაკის ძე ბლადაშვილი, სიღნაღის მ არბოშიკი. ესენი არიან დასაფლავებულნი ქ. ალექსანდრეპოლში.

ჯარის კაცი იაკობ თედორეს ძე მაისაშვილი მსახურობდა 621 ტომსკის ქვეითა დრუჟინაში. მისი ამბავი დიდი ხანია არ გაგვიგია. თუ ვინმემ იცის მისი რამე ვსთხოვ გვაცნობოს: თფილისი, ველიკოკნიაჟესკაია № 38 ალექსი მაისაშვილს.

რედ.-გამომცემელი მღ. მ. ბოხოხაძე.

ქ. თფილისში, ოლღის ქ. №6, ს.-თავართქილაძის კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება“-ში

[illegible] ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ ფული გამოგზავნისთანავე.

პროვინციის აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, ჟურნ. „განათლება“, „[illegible]“, „ორიზონი“, „ფაიქარი“, რუსული ჟურნალი „დელო“ და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ.

სწრაფლ- მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძისა გაზაევის შესახვევი № 1.